

სასწავლო წელი ასეც იწყება A3



თქვენი აფხაზეთი A4



მინდორაშვილი მსოფლიო ჩემპიონია A7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 28 სექტემბერი, 2005 წელი. №215 (1075)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

"გვახსოვს"

ასეთი სახელწოდების ფოტოგამოფენა, რომელიც სოხუმის დაცემის დღეს მიეძღვნა, გუშინ გალერეა "კოპალაში" გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილი ცნობილი ბრიტანელი ფოტორეპორტიორის მალკოლმ ლინტონის 50-მდე ფოტოსურათი.



A2

## ამბები

"თბილგაზმა" თანამშრომლები დაითხოვა



"მოსახლეობას ვთხოვთ და ვაფრთხილებთ, რომ იყვნენ ძალიან ყურადღებით, რადგან სპეციალისტები "თბილგაზში" თითქმის აღარ დარჩნენ,"

A2

## ამბები

ცხინვალი ქართულ მხარეს ეუთო-სა და აშშ-სთან უჩივის

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ კონფლიქტის ზონაში ქართული სამშვიდობოების სარდლის პაატა ბედიანაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მიზეზი 20 სექტემბერს, ცხინვალის რეგიონში მომხდარი აფეთქებებია, რომელიც, ედუარდ კოკოითის განცხადებით, სამშვიდობო პროცესის ჩაშლისათვის მოხდა.

A3

## ამინდი

| | 28/09 | 29/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 21 | 21 |
| ქუთაისი | 21 | 21 |
| სოხუმი | 23 | 24 |
| დმანისი | 16 | 18 |
| გორი | 17 | 18 |
| ონი | 13 | 15 |
| ზუგდიდი | 26 | 26 |
| ახმეტა | 20 | 21 |
| გაგრა | 21 | 21 |
| სამტრედია | 24 | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7950 |
| ევრო | 2.1931 |
| ბრიტანეთა სტერლ. | 3.2472 |
| რუბლი | 0.0632 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| აფხაზეთი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# საბიუჯეტო ცვლილებების მიღება დამუხრუჭდა

გიორგი ასანიშვილი

*გუშინ პარლამენტში საბიუჯეტო ცვლილებების განხილვა და კენჭისყრა არ შედგა. ეს პროცედურა 14 ოქტომბრისთვის გადაიდო. ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა სპიკერატის პრეზიდიუმში გამართული ნახევარსაათიანი "თათბირი", რომელშიც ნინო ბურჯანაძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე და მთავრობის საპარლამენტო მდივანი გიორგი ხუროშვილი მონაწილეობდნენ.*

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტმა გარკვეული დაზუსტებები მოითხოვა, რისთვისაც დამატებითი კონსულტაციების ჩატარება ხდება საჭირო.

გაგრძელება A2 გვერდზე



*გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, მთავრობა საბიუჯეტო ცვლილებების პროექტის უკან გაწვევას და მის ნაცვლად, პარლამენტში ახალი დოკუმენტის შემოტანას აპირებს*

# ფერადი რევოლუციები. შუალედური ფინიში ("Washington ProFile", აშშ)

*ამერიკელი ექსპერტები საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში მომხდარი "ფერადი რევოლუციების" წინასწარ შედეგებზე ბჭობენ.*

**ანდრეს ოსლუნდი, "კარნეგის ფონდი საერთაშორისო მშვიდობისათვის" უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ("Carnegie Endowment for International Peace"):**

არა მგონია, რომ დსთ-ს რამდენიმე ქვეყანაში მომხდარი "ფერადი რევოლუციების" ძირითადი მიზეზი ეკონომიკური პრობლემები გახდა, მაგალითად, კორუფცია ან უმუშევრობა. სავარაუდოდ, ძირითადი მიზეზი თავისუფლებისა და დემოკრატიისკენ ამ ხალხების სწრაფვის სურვილი იყო. ამ ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობას თუ განვიხილავთ, მაშინ ჩემი ვარაუდი დადასტურდება. საქართველო და ყირგიზეთი მართლაც ძალზე ღარიბი ქვეყნებია. ამ სახელმწიფოებში რამენაირი ეკონომიკური ზრდა მართლაც რომ ყოფილიყო, მოსახლეობა ამას მაინც ვერ გრძნობდა. სამაგიეროდ, უკრაინა, "ნარინჯისფერი რევოლუციის" წინ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აღმავლობის გზაზე იყო. ასე რომ, რევოლუციების ძირითადი მიზეზი არა კორუფცია და სიღარიბე, არამედ ის უსამართლობაა, რომელიც ქვეყანაში სუფევდა.

დღეს ვხედავთ, რომ უკრაინაში "ნარინჯისფერი რევოლუცია" დასრულდა. იულია ტიმოშენკოს კაბინეტი უკიდურესად პოპულისტურ პოლიტიკას ატარებდა, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში არანაირი აზრი არ ჰქონდა. ტიმოშენკო შეეცადა, მთელი ქვეყნის მასშტაბით რეპრივატიზაციის პროგრამა გაეტანა. ბუნებრივია, ეს იდეა დესტაბილიზაციურ ფაქტორად იქცა, რადგან იგი უკვე ჩამოყალიბებულ მესაკუთრეთა ფენის უფლებებს აზარალებდა. ამან უკრაინაში ეკონომიკური ზრდის პროცესზეც იქონია უარყოფითი გავლენა. გარდა ამისა, იულია ტიმოშენკოს კაბინეტმა საგრძნობლად გაზარდა სოციალური ხარჯები, რასაც, თავის მხრივ, საგადასახადო განაკვეთების მნიშვნელოვანი ზრდა უნდა მოჰყოლოდა. დაბოლოს: ტიმოშენკო სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის აქტიური მომხრე იყო. განსაკუთრებით, ფასების დარეგულირების სფეროში. პრეზიდენტი იუშჩენკო კი დიამეტრალურად განსხვავებულ ეკონომიკურ პოლიტიკას უჭერდა მხარს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ქართულ-აფხაზური ქვეყნის დაცემა და იმედი

ზაზა ფაჩუაშვილი

*27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. აფხაზები ამ დღეს გამარჯვებას ზეიმობენ, ქართველები მარცხს გლოვობენ. ასეთი ტრაგიკული მდგომარეობა ერთი ქვეყნის ისტორიაში, ალბათ, იშვიათად მოიძებნება, მაგრამ მთავარი მაინც სხვა რამეა - ამ 12 წლის მანძილზე დაპირისპირებულმა მხარეებმა ისიც კი ვერ შეძლეს, რომ ერთმანეთთან პირისპირ დამსხდარიყვნენ და მშვიდობიანი მოლაპარაკებები დაეწყოთ. ჩვენ ისევ მომრიგებელი გვჭირდება, რომელიც, როგორც თავად სურს, ისე "გვარიგებს" და გვათამაშებს.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*გოგა ხაინდრავა შვილმკვდარ დედებს მოეფერა.*

# ახალი სკანდალი გურჯაანის სამშობიარო სახლის გარშემო

*მკვდარი ახალშობილი ჯანმრთელი ბავშვის სანაცვლოდ - გურჯაანის სამშობიარო სახლის ექიმებს ადგილობრივი მკვიდრი ნანული თარხანოვი საკუთარი შვილიშვილის უკანონოდ გაშვილებაში ადანაშაულებს. 1996 წელს დაბადებული ვაჟის ბედი ოჯახის წევრებმა ერთი თვის წინ გაიგეს.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

შესაძლოა, სულ მალე გურჯაანის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს ნათელა გოგოლაშვილს და გინეკოლოგ მზია ყაჭიურს სასამართლოს წინაშე თავის მართლება მოუწიოთ. სოფელ ახაშენის მკვიდრი ნანული თარხანოვი მთავარ ექიმს და გინეკოლოგს მეტად მძიმე დანაშაულში სდებს ბრალს. მისი თქმით, სამშობიარო სახლის თანამშრომლებმა ცოცხალი ბავშვის ნაცვლად მას სახლში მკვდარი ჩვილი გაატანეს. მისი შვილიშვილი კი 1 500 დოლარად გაყიდეს. **"ბავშვი ჩემმა თანაკლასელმა იშვილა. ამის თქმის საფუძველს უამრავი არგუმენტი მაძლევს, თუნდაც ის, რომ ჩვილის აყვანიდან რამდენიმე წელი ქვეყნის გარეთ იმყოფებოდა. რაც შეეხება შვილიშვილში გადახდილ 1 500 დოლარს, ამის უტყუარი მტკიცებულებაც მაქვს, რომელსაც ჩემი გამომძიებელი სასამართლოს წარუდგენს,"** - იმუქრება ნანული თარხანოვი.

მისმა შვილმა - ხათუნა თარხნიშვილმა გურჯაანის სამშობიარო სახლში 1996 წელს იმშობიარა. ბებიისთვის საკუთარი შვილიშვილის გაყიდვის შესახებ კი, ერთი თვის წინ გახდა ცნობილი. შვილიშვილის კვალს, როგორც ნანული თარხანოვი ირწმუნება, მისმა დამ მიაკვლია. დაკარგული ბავშვის ბებია ამჯერად უკვე დეტალურად იხსენებს იმ ფაქტს, თუ როგორ მალულად გაიყვანა სამშობიაროს დერეფნიდან და როგორ გადასცა უცნობს ახალშობილი სწორედ იმ სანიტარმა, რომელიც გასულ წელს, გურჯაანის სამშობიაროდან ჩვილი ბავშვების გაყიდვაში იყო ექვმიტანილი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# სუომი - ათასობით ტბის ქვეყანა

რა არის პატარა ქვეყნის ძალა

ნიკა თარაშვილი

*დღეს ფინეთის პრეზიდენტი ტარია ჰალონენი და მისი მეუღლე პენტი არაიარვი ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ეწვევიან. ევროკავშირის უკიდურესი ჩრდილოელი წევრის ინტერესები აქამდე ნათლად არ ყოფილა გამოკვეთილი არათუ საქართველოში, არამედ მთლიანად კავკასიაშიც. შეიძლება ითქვას, რომ ფინეთის პრეზიდენტის ვიზიტი ქართულ-სკანდინავიური ურთიერთობების გაღრმავების წინაპირობა იქნება. ვიზიტის წინ საშუალება გვქონდა, საკუთარი თვალით გვეხილა, რას წარმოადგენს ფინეთი დღეს. ევროპის ერთ-ერთი ყველაზე უზრუნველი ქვეყნის გამოცდილების გაზიარება, ალბათ, საქართველოსთვისაც მეტად საინტერესო იქნება.*

გაგრძელება A5 გვერდზე



*პრეზიდენტის სასახლე ჰელსინკში.*

# პრეზიდენტის ხშირი ჟესტიკულაცია და მოზომილი ვერბალური შეფასებები

პუტინი თითქმის 3 საათის განმავლობაში პასუხობდა 60 კითხვას

ხათუნა გაბიევი

პუტინი რუსებს თავდაჯერებული ტონით, მოთმინებითა და ზომიერებით გაჯერებული მანერით ესაუბრებოდა - ასეთი იყო რუსულ საინფორმაციო სააგენტო "რიანოვოსტ"-ის ვებგვერდზე განთავსებული მცირე მოცულობის სტატიის სათაური. რუსეთის პრეზიდენტთან უშუალოდ გასაუბრების შესაძლებლობით ქვეყნის მოსახლეობა დიდად განებივრებული რომ არ არის, ამას დიდი მტკიცებულება არ სჭირდება; ხოლო რამდენად გულწრფელი იყო ვლადიმირ პუტინი საკუთარი მოქალაქეების წინაშე, ეს უკვე მეორე საკითხია.

მუქი ფერის კოსტიუმში, თეთრ პერანგსა და ლურჯ ჰალსტუხში გამოწყობილმა პრეზიდენტმა პირდაპირ სატელევიზიო ეთერში გამოჩენისას ერთი ღრმად ჩაისუნთქა და საპასუხისმგებლო "ანგარიშიც" დაიწყო მოსახლეობასთან. თემები კი მართლაც მრავალფეროვანი იყო - დაწყებული ქვეყანაში არსებული სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობით, დამთავრებული ჩეჩნეთისა და მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების საკითხებით.

ჩეჩნეთის საკითხზე საუბრისას რუსეთის პრეზიდენტი ტონსაც უწევდა და გალიზიანებული პასუხობდა დასმულ შეკითხვებს. რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, რუსეთის პრეზიდენტი ჩეჩნეთის უპირველეს პრობლემად უმუშევრობას მიიჩნევს.

**"უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე ჩეჩნეთშია, ერთ ვაკანტურ ადგილზე 500 ადამიანი მოდის. ამგვარი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად მიუღებელია"**, - აღნიშნა პუტინმა.

გაგრძელება A5 გვერდზე

# დეპუტატზე თავდასხმის საქმე გახსნილია

*"ცხინვალის რეგიონი კონტრაბანდისტების და ყაჩაღების თავშესაფრად იქცა", - ასეთი განცხადება გააკეთა შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე, რომელზეც შს მინისტრმა კიდევ ერთი ინფორმაცია გაახმოვანა - შინაგან საქმეთა სამინისტრომ პარლამენტარ თამაზ ყაჭეიშვილზე თავდასხმის საქმე გახსნა და დამნაშავეთა ჯგუფი დააკავა კიდეც. სპეცოპერაცია სამართალდამცველებმა 26 სექტემბერს, საღამოს ჩაატარეს.*

ვანო მერაბიშვილის თქმით, შს სამინისტროსთვის რამდენიმე დღის წინათ ცნობილი გახდა ყაჭეიშვილის ავტომანქანის გატაცებასა და მის დაყაჩაღებაში ეჭვმიტანილთა ვინაობა. დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი, გორში მცხოვრები შალვა გულიაშვილი, მეტსახელად "სემსოტა", სამართალდამცველებმა მისი ჯგუფის წევრებთან ერთად დააკავეს. მინისტრის ინფორმაციით, გულიაშვილი ადრე გორში საპატრულო პოლიციის ავტომანქანის დაყაჩაღებაშიცაა ეჭვმიტანილი.

ვანო მერაბიშვილის განცხადებით, ერთი თვის წინ თბილისში გატაცებული ავტომანქანა "ჯიპი", რომელიც თამაზ ყაჭეიშვილს ეკუთვნოდა, ცხინვალშია გადაყვანილი, მანქანას ოსური ნომრები აქვს და მისი "მიმღები" და ამჟამინდელი მფლობელია ოსი კრიმინალი, 1972 წელს ცხინვალში დაბადებული მიხეილ ცხოვრებოვი, მეტსახელად "მიშიკა". შს მინისტრის ინფორმაციით, ცხოვრებოვი გატაცებული ავტომანქანების რეალიზატორია და მის ხელში საქართველოდან გატაცებულმა 20-მდე ავტომანქანამ გაიარა.

ვანო მერაბიშვილი თვითაღიარებული რესპუბლიკის შს მინისტრს თანამშრომლობისკენ მოუწოდებს და მოითხოვს, ამ შემთხვევაში მაინც მოხდეს ეჭვმიტანილის ქართული მხარისთვის გადმოცემა. **"ცხოვრებოვი ამჟამად ცხინვალში იმყოფება. ჩვენ ვიცით მისი მისამართი, ვიცით ისიც, თუ სად იმყოფება ამ წუთებში. ოსი კოლეგები თავს არიდებენ კრიმინალების გადმოცემას. გუშინ მათ არ გადმოგვცეს ჩვენს მიერ ძებნილი ორი კონტრაბანდისტი, რომლებსაც ავტომანქანა და კონტრაბანდული საქონელი ჩამოერთვათ",** - განაცხადა მერაბიშვილმა. მისი თქმით, ქართველმა სამართალდამცავებმა ოსურ მხარეს ოთხი ქართველის მკვლელობასა და ტერორისტულ აქტის მოწყობაში ეჭვმიტანილის გადმოცემაც მოსთხოვეს, მაგრამ - უშედეგოდ.

შს მინისტრმა პარლამენტარ თამაზ ყაჭეიშვილს ბოდიში მოუხადა იმის გამო, რომ ქართული მხარე ჯერჯერობით ვერ ახერხებს არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან ავტომანქანის ამოღებას და ეჭვმიტანილის დაკავებას. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მინისტრმა საქმის კურსში ჩააყენა საქართველოში რუსეთის ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი და სამშვიდობო ძალების სარდალი მარატ კულახმეტოვი.

შეგახსენებთ, რომ 23 აგვისტოს ღამით, დაახლოებით 10 საათზე, თბილისის ცენტრში, ქობულეთის აღმართზე საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი, თამაზ ყაჭეიშვილი უცნობმა პირებმა მის კუთვნილ მანქანასთან ერთად გაიტაცეს. გამტაცებლებმა მძევალი მცხეთის ახლოს, ტყეში ხეზე მიაბეს, თვალები და პირი სკოჩით აუკრეს, თავად კი ყაჭეიშვილის მანქანით განაგრძეს გზა. ხეზე მიბმული, თვალებ და პირახვეული 65 წლის თამაზ ყაჭეიშვილი დილით მწყემსმა აღმოაჩინა და საავადმყოფოში მიიყვანა "მემარჯვენე ოპოზიციამ" თანაფრაქციელზე თავდასხმა თავიდანვე ნარკოტიკებითა და გატაცებული მანქანებით ვაჭრობას დაუკავშირა, რომლის კვალიც ცხინვალისკენ მიდიოდა. **24 საათი**

# პატიმრებმა მონიტორინგის საბჭოს წევრთან შეხვედრა მოითხოვეს

ციხის N1 საპყრობილეში, უკვე მეათე დღეა, შიმშილობს მალხაზ ნიშნიანიძე, რომელიც იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს. პატიმარმა იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგის საბჭოს წევრთან, ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" აღმასრულებელ დირექტორ ქეთევან ქამაშიძესთან შეხვედრა მოითხოვა. შეხვედრისას ქეთევან ქამაშიძეს პატიმარმა განუცხადა, რომ იგი, მეათე დღეა, მხოლოდ წყალს იღებს და არ აპირებს შიმშილობის შეწყვეტას მანამდე, სანამ არ დააკმაყოფილებენ მის მოთხოვნას. ნიშნიანიძე თვლის, რომ იგი უკანონო პატიმარია, მას ჩაუდეს ცეცხლსასროლი იარაღი ე.წ. "პასტა". პატიმრის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკანონო პატიმრად ითვლება, მას შეფარდებული ჰქონდა 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა. გუშინწინ, გამოძიების შუამდგომლობით, მალხაზ ნიშნიანიძეს პატიმრობის ვადა 2 თვემდე გაუგრძელდა. ამის მიზეზად გამოძიებამ საქმეზე ახალი გამომძიებლის დანიშვნა დაასახელა. ნიშნიანიძე საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვს, რაზეც გამოძიებამ უარი განუცხადა, იმ მოტივით, რომ იარაღზე შეუძლებელი იქნებოდა ანაბეჭდების დადგენა.

ქეთევან ქამაშიძის განცხადებით, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად მძიმე არ არის, თუმცა იგი საკმაოდ სუსტად გამოიყურება და, შიმშილობის გაგრძელების შემთხვევაში, შესაძლოა, მდგომარეობა გართულდეს.

ქეთევან ქამაშიძე შეხვდა, აგრეთვე, პატიმარ მურთაზ სოთიაიძეს, რომელმაც განაცხადა, რომ ციხის ადმინისტრაციამ იგი გადაიყვანა პირველ სართულზე მდებარე მე-6 საკანში. პატიმრის განცხადებით, საკანში ჩამოდის წყალი, დგას გუბეები და საკანში ყოფნა შეუძლებელია. საკნის შეცვლის მიზნით, სოთიაიძემ რამდენჯერმე სხეულის დაზიანებაც მიიყენა. ქეთევან ქამაშიძის განცხადებით, მან დაათვალიერა მე-6 საკანი, რომელშიც მართლაც გაუსაძლისი და პატიმრის ჯანმრთელობისათვის საზიანო პირობებია. მის მოთხოვნაზე, გადაეყვანათ პატიმარი სხვა საკანში, ციხის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა. მიზეზად კი დაასახელა თავად პატიმრის უსაფრთხოება. როგორც ქამაშიძეს ციხეში აცნობეს, მურთაზ სოთიაიძეს სხვა პატიმრებისგან საფრთხე ემუქრება და ამიტომ გახდა საჭირო მისი გადაყვანა იზოლირებულ კამერაში. **24 საათი**

# "გვახსოვს"

ასეთი სახელწოდების ფოტოგამოფენა, რომელიც სოხუმის დაცემის დღეს მიეძღვნა, გუშინ გალერეა "კოპალაში" გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილი ცნობილი ბრიტანელი ფოტორეპორტიორის მალკოლმ ლინტონის 50-მდე ფოტოსურათი, რომლებიც, ძირითადად, 1993 სექტემბერში, სოხუმის დაცემის დღეებს ასახავს, აქამდე საქართველოში ნაჩვენები არ ყოფილა.

გამოფენის ორგანიზება abkhazeti.ru ინტერნეტ-ფორუმის მონაწილეებმა ითავეს. თანხები როგორც სურათების ჩვენების უფლების მოსაპოვებლად, ასევე საორგანიზაციო ხარჯებისათვის, ამავე ინტერნეტ-ფორუმის რამდენიმე ათეულმა მონაწილემ გაიღო.

**"ჩვენი მიზანია, საზოგადოებამ არ დაივიწყოს, რა მოხდა რეალურად აფხაზეთში, ვინ გვებრძოდა და გვებრძვის დღემდე, რომ რეალობას რაღაც ზღაპრები და სადღეგრძელოები არ ჩავანაცვლოთ. სინამდვილეს თვალებში უნდა შევხედოთ,"** - განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გიორგი ფარცხალაძემ.

ომის ამსახველ, ხშირად შემზარავ კადრებთან ერთად, გამოფენაზე აფხაზეთში, კონფლიქტის დროს, და მისი აქტიური ფაზის დასრულების შემდეგაც, დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობის სიები იყო გამოკრული. ცალკე განყოფილება აფხაზეთში რუსი ტურისტების დასვენების ამსახველ კადრებს, მათი შთაბეჭდილებების ტექსტებსა და აფხაზეთის საკითხზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებებს მიეძღვნა.

გიორგი ფარცხალაძის თქმით, გუშინ გამოფენამ საზოგადოების მნიშვნელოვანი ყურადღება მიიქცია. ის როგორც აფხაზეთიდან დევნილებმა, სოხუმისთვის ბრძოლების მონაწილეებმა, ასევე მრავალმა დაინტერესებულმა მოქალაქემ მოინახულა, მათ შორის, აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელმა ირაკლი ალასანიამ.

ფოტოგამოფენა 29 სექტემბრამდე გასტანს.

**24 საათი**


## განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია:

1. სს "ენერჯი ინვესტი"-ს მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე "აირტურბინული ელექტროსადგურის პროექტი"
2. ინდ. მეწარმე "ოლეგ ქიმერიძე"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე გლდანის მიკროჰესი ხევძმარის ხევზე (გზშ)
3. შპს "დე ენდ ვე"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე "სამონადირეო მეურნეობა დე ენდ ვე-ს შექმნისა და გაძღოლის პროგრამა"
4. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (BTC) მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე "კოდიანას უშიშროების სამსახურის ბაზის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება"
5. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (BTC) მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე ბორჯომის ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ბაზის გზშ ანგარიში
6. შპს "ბლექ სი გრუპი"-ს მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე სამშენებლო ობიექტის გარემოსდაცვითი დამასაბუთებელი დოკუმენტაცია
7. შპს "საგზაო სამშენებლო სამმართველო N1"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე სოფ. თედოწმინდის მიდამოებში მდ. Lლიახვის ქვიშახრეშის გამოვლინების დამუშავების პროექტი
8. შპს "კასარა"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე "ნახშირორჟანგა აირის (CO2)შესწავლა, მოპოვება და წარმოების პროექტი"

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 29 სექტემბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში, მის: თბილისი, გულუას N6.

საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 29 სექტემბერს 1200 სთ-ზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.


# საბიუჯეტო ცვლილებების მიღება დამუხრუჭდა

პირველი გვერდიდან

ამიტომ, პარლამენტმა "დააკმაყოფილა მთავრობის თხოვნა" და საკითხი ორი კვირით გადადო. ამასთან, მხედველობაში იქნა მიღებული ისიც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან მოლაპარაკებებზე ვაშინგტონში გამგზავრება მოუხდა ფინანსთა მინისტრს ლექსო ალექსიშვილს, რომელსაც, რეგლამენტის მიხედვით, ევალება, საბიუჯეტო ცვლილებების პროექტი საკანონმდებლო ორგანოს პირადად წარუდგინოს.

მართალია, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა გოცირიძე გუშინ მზად იყო, თავისი შეფის მაგივრობა გაეწია და დეპუტატებისთვის კანონპროექტი წარედგინა, მაგრამ პარლამენტის ხელმძღვანელობამ ეს არ ისურვა და ამჯობინა, ფინანსთა მინისტრის საქართველოში დაბრუნებას დალოდებოდა.

ამასთან, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, მთავრობა საბიუჯეტო ცვლილებების პროექტის უკან გაწვევას და მის ნაცვლად, პარალამენტში ახალი დოკუმენტის შემოტანას აპირებს, რომელშიც კიდევ უფრო მეტად იქნება გაზრდილი 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი.



დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს დაღუპულთა ხსოვნას.

თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ამ ვერსიას არც უარყოფენ და არც ადასტურებენ.

საბიუჯეტო ცვლილებების განხილვისა და დამტკიცების პროცედურის გადადებამ ოპოზიციას, კერძოდ კი - "რესპუბლიკელებს", ხელისუფლებისთვის ნიშნის მოგების კარგი შანსი მისცა. ლევან ბერძენიშვილს არ დაუმალავს, რომ გუშინდელი სხდომისთვის საგანგებოდ ემზადებოდა და წარმოსათქმელი სიტყვაც კი დაწერა.

**"როდესაც საბიუჯეტო ცვლილებებთან დაკავშირებით შენიშვნები გამოვთქვით, მთავრობა იცინოდა... ჩვენს "გასანათლებლად" ხელისუფლება სემინარების ჩატარებას აპირებდა. დღეს კი ირკვევა, რომ ჩვენეული შენიშვნები სულაც არ ყოფილა სასაცილო,"** - აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ რამდენიმე დღის წინათ "რესპუბლიკელების" მისამართით გაკეთებულ დამცინავ განცხადებებზე ახლა უკვე ლევან ბერძენიშვილს ეცინება.

ვინაიდან საბიუჯეტო ცვლილებების განხილვა არ შედგა, გუშინ ოპოზიციამ საპარლამენტო ტრიბუნა წინასაარჩევნო განცხადებებისთვის გამოიყენა. "კონსერვატორ" კახა კუკავას თქმით, წინასაარჩევნო კამპანიას აჭარაში პირადად ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც, ოპოზიციონერი დეპუტატის მტკიცებით, **"სოფელ-სოფელ დადის და პროსახელისუფლებო კანდიდატების სასარგებლოდ აგიტაციას ეწევა."** კახა კუკავა იმასაც ამტკიცებს, რომ 1 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებში ხელისუფლება საარჩევნო სიებითა და ამომრჩეველთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობებით მანიპულირებას აპირებს.

# "თბილგაზმა" თანამშრომლები დაითხოვა

*"მოსახლეობას ვთხოვთ და ვაფრთხილებთ, რომ იყვნენ ძალიან ყურადღებით, რადგან სპეციალისტები "თბილგაზში" თითქმის აღარ დარჩნენ," - ასეთ გაფრთხილებას აძლევდნენ გუშინ თავიანთ მოქალაქეებს საპროტესტო აქციაზე შეკრებილი, "თბილგაზის" ყოფილი თანამშრომლები. მათი თქმით, რამდენიმე დღის წინათ, "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი გვიჩიანმა 500-მდე თანამშრომელი შრომითი კოდექსის ყველა ნორმების დარღვევით გაათავისუფლა. მათივე ინფორმაციით, ახლო მომავალში კიდევ 200 თანამშრომლის გათავისუფლება იგეგმება.*

თამარ დვალი

**"სამსახურიდან ჩვენი გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია ხუთი დღის დაგვიანებით შევიტყვეთ. ბრძანება უკვე დაწერილი ყოფილა, ჩვენ კი მუშაობას ისევ ვაგრძელებდით. შეიძლება, ხელმძღვანელობამ გათავისუფლების მიზეზად შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლა დაასახელოს, თუმცა შრომის კანონმდებლობის 31-ე მუხლის თანახმად, თუ შრომითი ურთიერთობები მაინც გრძელდება, ხელშეკრულება ითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით,"** - განაცხადა გუშინ აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, "თბილგაზის" ყოფილმა იურისტმა ეკა ჯანჯღავამ. მისივე თქმით, ხელმძღვანელობა მათი გათავისუფლების საფუძვლად რეორგანიზაციას ასახელებს, რეალურად კი "თბილგაზში" შტატების შემცირება მოხდა.

გარდა ამისა, გათავისუფლებული თანამშრომლები გვიჩიანს პასუხს იმ სიტყვების გამო სთხოვენ, როდესაც მან რადიოს ეთერში ყოფილ თანამშრომლებს კორუმპირებულები უწოდა.

**"დაგვიმტკიცოს გვიჩიანმა, რომ ჩვენ კორუმპირებულები ვართ. თვითონ მის მიმართ, ნამდვილად არის სისხლის სამართლის საქმე აღძრული თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის. კომპანია "თელასს", როდესაც იგი იქ მუშაობდა, მილიონობით ზარალი მიაყენა და ამისთვის მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ახლა იგი თავდებით არის გამოსული და ვინ არის კორუმპირებული, საკითხავი ეს არის,"** - კითხულობდნენ აქციის მონაწილეები.

"თბილგაზის" მოკვლევის დეპარტამენტის ყოფილი მთავარი სპეციალისტის გია ხიზანიშვილის განცხადებით, კანონით, "თბილგაზში" თანამშრომლების მიღება გამოცდების ჩაბარების შემდეგ უნდა მოხდეს. დღევანდელმა ხელმძღვანელობამ კი, ახალი კადრების მიღება კანონის იგნორირებით მოახდინა. **"დღევანდელი პოლიტიკის თანახმად, "თბილგაზის" სამსახურში "თელასის" თანამშრომლების ჩანაცვლება ხდება. შედარება რომ გავაკეთოთ, ეს იგივეა, ტრამვაის მძღოლი სამუშაოდ მეტროში რომ ჩაიყვანონ. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქალაქში თითქმის არც ერთი სპეციალისტი აღარ დარჩა,"** - განაცხადა გია ხიზანიშვილმა.

"თბილგაზის" გენერალური დირექტორი გიორგი გვიჩიანი მის მიერ გათავისუფლებული თანამშრომლების სამსახურში აღდგენას არ აპირებს და აცხადებს, რომ ისინი კორუმპირებულები და არაფრისმაქნისები არიან. მისივე თქმით, როდესაც იგი "თბილგაზში" მოვიდა, კორუმპირებული სისტემა დახვდა, რომელიც 15 წლის წინ არსებული სისტემისგან არაფრით განსხვავდებოდა. **"ამიტომ სისტემა უნდა შეცვლილიყო და გაბერილი შტატები შემცირებულიყო. ამ შტატების შემცირებაში სწორედ ის ადამიანები მოყვნენ, ვინც კორუმპირებულები არიან ან არაფერს აკეთებენ, ან დუბლირებული ფუნქციები ჰქონდათ,"** - განაცხადა გვიჩიანმა.

რაც შეეხება იმ ბრალდებებს, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, როგორც გვიჩიანი აცხადებს, **"ეს საქმე ედუარდ შევარდნაძის კორუმპირებული მთავრობის წევრების მიერ იყო შეთითხნილი და მე იმედი მაქვს, რომ ეს საკითხი ახლა ჩემს სასარგებლოდ გადაწყდება,"** - აღნიშნა მან.

"თბილგაზის" თანამშრომლებმა სასამართლოში სარჩელი 21 სექტემბერს შეიტანეს. იმ შემთხვევაში, თუკი მათი მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული, ისინი უფრო ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციის გაგრძელებით იმუქრებიან.

# ქიზიყელ გლეხებს აქციის დარბევით დაემუქრნენ

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

რამდენიმე კვირაა, რაც კახეთში რთველი დაიწყო, მაგრამ სოფლის მოსახლეობისთვის მოწეული მოსავლის დაბინავება აქილევსის ქუსლად იქცა. ამ მხრივ, ყველაზე დიდი პრობლემები ქიზიყელებს აქვთ. იმის გამო, რომ სიღნაღის რაიონში არსებული კერძო ღვინის ქარხნები არ მოქმედებს, სოფელ ვაქირის მოსახლეობას ყურძნის ჩაბარება უჭირს, რადგან სხვა რაიონებში, გაურკვეველი მიზეზების გამო, მათ ყურძენს არავინ იბარებს. გამწარებული გლეხობა გუშინ ქვეყნის პრეზიდენტს დანაპირებს ახსენებდა. **"სანამ სააკაშვილს პრეზიდენტად ავირჩევდით, გვეუბნებოდა, "ნაციონალებს" მოგვეცით ხმა და კახელ გლეხს მუსიკით დაგაბინავებინებთ მოსავალსო. კარგი მუსიკა კი შეუკვეთა, ყოველ დილას ასე გამოვდივართ ქუჩაში და ჭირისუფლებივით ვსხედვართ. კლიენტი არსად ჩანს, ქარხნები კიდევ არ იბარებენ,"** - ამბობს ვაქირელი გივი ნანობაშვილი.

სწორედ ამ პრობლემების გამო, სოფელ ვაქირის მოსახლეობა თბილისი-ლაგოდეხი-წნორის საგზაო მაგისტრალის გადაკეტვას ცდილობდა, თუმცა აქციის მონაწილეები სამართალდამცველების და რაიონის ხელმძღვანელობის უშუალო ჩარევით და ხუთსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ დაიშალნენ. აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ მათ ხელისუფლება დარბევით დაემუქრა.

თუმცა, ამავე დროს, სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი კახეთში რთველს აკვირდება და აცხადებს, რომ მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებამ შედეგი გამოიღო და "რთველი 2005" ექსცესების გარეშე მიმდინარეობს.

მიუხედავად მუქარისა, ვაქირელები საპროტესტო აქციებს დღესაც გეგმავენ.

# ახალი სკანდალი გურჯაანის სამშობიარო სახლის გარშემო

პირველი გვერდიდან

**"ჩემს შვილს იმდენად მძიმე მშობიარობა ჰქონდა, რომ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი, იმის იქით რა ხდებოდა. თუმცა, ის კი ნამდვილად დავინახე, როგორ მიარბენინებდა სამშობიაროს დერეფანში სანიტარი ეთერ უტიაშვილი ჩვილს და მას უკან მთავარი ექიმი ნათელა გოგოლაშვილი მისდევდა. მათ თვალებშიც კი ვერ შემომხედეს, რადგან ისინი ახალ ყაჩაღობას ჩადიოდნენ. მართალია, მაშინაც კი სამშობიაროს ბავშვების გაყიდვასთან დაკავშირებით სახელი ჰქონდა გატეხილი, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემი დის მეგობარი ნათელა გოგოლაშვილი ამას გამიკეთებდა?"** - ამბობს ნანული თარხნოვი.

შეგახსენებთ, რომ გურჯაანის სამშობიაროდან ახალშობილებით ვაჭრობასთან დაკავშირებით სკანდალი ჯერ კიდევ 2003 წლის სექტემბერში ატყდა. მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ დანაშაულში ეჭვმიტანილ, აღნიშნული სამშობიარო სახლის ორ სანიტარს - ეთერ უტიაშვილს და მარინა ნაპირელს, წინასწარი სამთვიანი პატიმრობაც შეუფარდა. თუმცა, დანაშაულში ეჭვმიტანილები ამ დროისთვის უკვე გარეთ იმყოფებიან. უფრო მეტიც, ისინი გურჯაანის სამშობიაროში სამსახურებრივ მოვალეობას კვლავ ასრულებენ. გარდა ამისა, სამართალდამცველთა მხრიდან დღემდე დადგენილი არ არის იმ ბოროტმოქმედთა ვინაობა, ვისი ხელმძღვანელობითაც ხდებოდა სამშობიარო სახლებიდან ჩვილი ბავშვებით ვაჭრობა.

ეთერ უტიაშვილი რომ ნამდვილად იყო ჩვილ ბავშვთა გაყიდვაში ეჭვმიტანილი, ამას ჩვენთან საუბარში მთავარი ექიმიც ადასტურებს. მისივე თქმით, სასამართლოს მიერ დასახელებული ეჭვმიტანილები გარკვეულ ჩინოვნიკთა ჯგუფებთან იყვნენ შეკრულნი და ბავშვების გაშვილებას მართლაც ახდენდნენ.

**"მე მინდა გითხრათ, რომ მართლაც იყო სპეციალური სისტემა. ისინი ბავშვების გაშვილებას ახდენდნენ, სადაც ჩართულები იყვნენ ჩინოვნიკები. ესენი კი, როგორც დისტრიბუტორები, ისე იყვნენ, ანუ ჩვენი თანამშრომლები ეძებდნენ ისეთ დედებს, რომლებსაც უჭირდათ და ბავშვის გაშვილება უნდოდათ. ეთერ უტიაშვილი და მარინა ნაპირელი გამართლდნენ და ისინი უკან დავაბრუნე,"** - განმარტავს გურჯაანის რაიონის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი. რაც შეეხება ნანული თარხანოვის პრეტენზიებს, ნათელა გოგოლაშვილი და გინეკოლოგი მზია ყაჭიური მათ არ ადასტურებენ. უფრო მეტიც, ისინი ნანული თარხანოვს ფსიქიკურად შეშლილად მიიჩნევენ. **"თუ ჩვენ ვტყუოდით, რატომ აქამდე არ გვიჩივლეს. ის, რასაც მე და მთავარ ექიმს გვაბრალებენ, სრული აბსურდია. ნანული თარხანოვი ფსიქიკურად შეშლილია. ან როგორ უნდა მახსოვდეს ცხრა წლის წინანდელი ამბავი?"** - ამბობს გინეკოლოგი მზია ყაჭიური.

ბავშვების გაშვილების თითოეულ შემთხვევაში საქმის კურსში ყოველთვის რაიონის სამართალდამცავები არიან. იყო თუ არა 1996 წელს გურჯაანის რაიონში გაშვილების შემთხვევა, გურჯაანელი სამართალდამცავები პასუხს ვერ გვცემენ, რადგან, როგორც ძალოვნები განმარტავენ, იმ დროს ქვეყანაში არეულობა იყო და შესაძლოა, დოკუმენტები არც არსებობდეს.

ნანული თარხანოვი კი გაჩუმებას არ აპირებს. იგი სიმართლის დადგენას სასამართლოს ძალით ფიქრობს, მისი სავარაუდო შვილიშვილის ამჟამინდელ მშობლებს კი ბავშვის გენეტიკური ანალიზის ჩატარებას სთხოვს.

# რეფორმა და წინადადება

2004 წლიდან ჯანდაცვის სამინისტრომ უპრეცედენტო რეფორმა წამოიწყო. კერძოდ, ყველა სამშობიარო სახლს უფასო მშობიარობის პროგრამაში მონაწილეობის უფლება მიეცა. ადრე ასეთი პრივილეგიით 17-დან 4 დაწესებულება სარგებლობდა, რომლებიც სამედიცინო ბაზრის 90 პროცენტს აკონტროლებდნენ და მონოპოლური მდგომარეობა ეჭირათ.

აქ ჰყვაოდა თანხის გადახდის არალეგალური ფორმა. პაციენტი იძულებული იყო, სიიაფის გამო მიემართა ამ კლინიკებისათვის, ხოლო კერძო კლინიკები დაუტვირთავი ერთეული პაციენტების ამარა იყო დარჩენილი.

2004 წლიდან არჩევანის უფლება გადაეცა თვითონ მშობიარეს, ყველა კლინიკის უფასო პროგრამაში ჩართვის შემდეგ ჩამოყალიბდა თავისუფალი, კონკურენტული სამედიცინო ბაზარი, სამედიცინო მომსახურების დონის ზრდის ფონზე ზოგიერთ კლინიკაში ფასების შემცირება აღინიშნა, რითაც მოგებული უპირველესად მომხმარებელი დარჩა. ნიშანდობლივია ორი პარალელური ტენდენცია: პაციენტთა მომსახურების ხარისხის ზრდა და კლინიკების ეკონომიკური აღმავლობა. სამედიცინო ეკონომიკა, ჯანმრთელი კონკურენციის პირობებში, დასავლური ანუ მოთხოვნაზე ორიენტირებული, ცივილიზებული გახდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ პაციენტმა-მოქალაქემ აღიდგინა კონსტიტუციითა და ჯანდაცვის ორგანული კანონით უზრუნველყოფილი თავისუფალი არჩევანისა და გარანტირებული ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

სასურველია 2005-2006 წლებში, პროფიციტური ბიუჯეტის პირობებში, 9 მილიონი ლარით დაფინანსებული პროგრამის ზრდა მოხდეს. 200-ლარიანი ვაუჩერის პირობებში, საკეისრო მუცელკვეთის ოპერაციების დაფინანსება პრაქტიკულად შეუძლებელია. სტანდარტით აუცილებელი მედიკამენტებისა და გამოკვლევების ღირებულების გარდა, თანხა არ ჰყოფნის არც ხელფასებს, არც გადასახადებს, არც რომელიმე სხვა აუცილებელ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხარჯს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ოპერაციის ღირებულება გასამმაგებული ვაუჩერით (600 ლარი) დაიფაროს. ასეთ შემთხვევაში, საკეისროზე ყველგან არსებული არალეგალური გადასახადი შეიძლება აღმოიფხვრას. სამეანო კლინიკების დირექტორთა სათათბიროს წინადადებაა: 2005-2006 წლის სამეანო პროგრამაში მონაწილეობის უფლება ყველა ლიცენზირებულ კლინიკას მიენიჭოს (დარჩეს); მოხდეს საკეისრო კვეთის ოპერაციების დაფინანსების გაზრდა (გასამმაგება);

მოიხსნას დაფინანსებაში ლიმიტების სისტემა; უკიდურეს შემთხვევაში მოხდეს ლიმიტების გაორმაგება.

*კახა გელაშვილი,*
*შპს "გინეკა"-ს დირექტორი*

## მიხეილ სააკაშვილი: "ქართველებისა და აფხაზების შერიგებას სოხუმში აღვნიშნავთ"

აფხაზეთის ომში ქართველებიც დამარცხდნენ და აფხაზებიც, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სოხუმის დაცემის მე-12 წლისთავთან დაკავშირებით.

ეს განცხადება მან გუშინ ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გააკეთა, სადაც ის განახლებული მცირე დარბაზის გახსნას დაესწრო.

სააკაშვილი სწორ ნაბიჯად მიიჩნევს აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების გადაწყვეტილებას, 27 სექტემბერი, სოხუმის ე. წ. გათავისუფლების დღე აღლუმით არ აღნიშნათ.

მიხეილ სააკაშვილი აქცენტს კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაზე აკეთებს და აცხადებს: ჩვენი საერთო გამარჯვება ის იქნება, როცა ქართველებისა და აფხაზების შერიგებას სოხუმში, აფხაზებთან ერთად, აღვნიშნავთ. ეს იქნება მართლაც დიდი დღესასწაული. **მედიანიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება სასიცოცხლოდაა დაინტერესებული შუალედური საპარლამენტო არჩევნების ობიექტურ და სამართლიან ჩატარებაში. აღნიშნული განცხადება, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ პლენარულ სხდომაზე, მას შემდეგ გააკეთა, რაც "კონსერვატიული პარტიის" წარმომადგენლებმა საქართველოს ხელისუფლება არჩევნების გაყალბებისათვის მზადებაში დაადანაშაულეს. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, იგი თავად დაინტერესდება ოპოზიციის ბრალდებებით, გაარკვევს და შეისწავლის კონკრეტულ საკითხს. "ხელისუფლებას არჩევნების გაყალბება არ სჭირდება და რომც სჭირდებოდეს, ამ ხელისუფლებამ კარგად იცის გაყალბების ფასი და ამას არ გააკეთებს," - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სახალხო ფრონტმა", "ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ" და "ეროვნული თავისუფლების პარტიამ" საქართველოს პარლამენტის შენობის წინ ერთსაათიანი აქცია გამართეს. "შეწყდეს აფხაზეთის გაჩუქება, შეწყდეს დემოგრაფიული დივერსია ქვემო-ქართლში, შეწყდეს ეკონომიკური დივერსია - დაისჯებით, უვიცებო ნუ ანგრევთ განათლების სისტემას სასწრაფოდ დატოვეთ დსთ," - ამგვარი ლოზუნგებით მიმართავდა სამი პოლიტიკური გაერთიანება საქართველოს პარლამენტსა და პრეზიდენტს. როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, "სახალხო ფრონტის" ლიდერმა ნოდარ ნათაძემ განაცხადა, აქცია 27 სექტემბერს - სოხუმის დაცემის დღეს განგებ დაამთხვიეს, რათა საქართველოს ხელისუფლებას კიდევ ერთხელ შეახსენონ, რომ ყველა დიდი უბედურების მიზეზი საქართველოში რუსეთია. პოლიტიკური გაერთიანებები საქართველოში ლუსტრაციის კანონის მიღებასაც მოითხოვენ. "ეროვნული თავისუფლების პარტიის" წარმომადგენლის გურამ გოგბაიძის განცხადებით, პარლამენტის წინ გამართული აქციით, ისინი საზოგადოებას კონსოლიდაციისკენ მოუწოდებენ. "თუკი ხელისუფლება საზოგადოების აზრს არ გაითვალისწინებს, მაშინ მის წევრებს სახელისუფლებო სავარძლების დატოვება მოუწევთ," - აღნიშნა გოგბაიძემ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ გუშინ სოხუმის "გათავისუფლების დღესთან" დაკავშირებით ენგურის ხიდზე კონტროლი გაამკაცრა. აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილება სპეციალური საშვების გარეშე აკრძალულია. ენგურის ხიდთან მდებარე საბაჟო გამშვები-პუნქტის მიერ გაცემული საშვები გაუქმებულია. 27-დან 30 სექტემბრამდე აფხაზეთიდან დევნილებს ზუგდიდიდან გალის რაიონში და პირიქით, გადაადგილება გალის აფხაზური ადმინისტრაციის მიერ გაცემული საშვებით მოუწევთ. ის დევნილები, რომლებიც ამ საშვის გარეშე დარჩებიან, ან ექნებათ ძველი საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ გაცემული საშვები, აფხაზეთის ტერიტორიაზე არ დაიშვებიან. რაც შეეხება ენგურის ხიდს, აფხაზეთის ხელისუფლებამ წელს იგი არ გადაკეტა. ორი დღის წინ საშვის ფასი გაძვირდა და იგი დაახლოებით 4 ლარის ეკვივალენტს შეადგენს რუსულ რუბლებში. რაც შეეხება გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში სიტუაციას, იქ მდგომარეობა ისევ დაძაბულია. იქ გუშინ დილით აფხაზური მილიციის დამატებითი რაზმები რამდენიმე სოფელში შევიდნენ. გალის ტერიტორიაზე აფხაზური მილიციის 20-კაციანი ოთხი შენაერთი პატრულირებს. ჯერჯერობით, რაიმე ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ბაქოში სუამის წევრი ქვეყნების სასაზღვრო უწყებების ხელმძღვანელთა მორიგი, სამდღიანი შეხვედრა დაიწყო. მასში მონაწილეობს საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დელეგაცია, რომელსაც დეპარტამენტის თავმჯდომარე ბადრი ბიწაძე ხელმძღვანელობს. შეხვედრაზე განიხილება რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მათ შორის სატრანსპორტო დერეფნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ასევე საერთაშორისო ტერორიზმის, არალეგალური მიგრაციის, ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის, მასობრივი განადგურების იარაღის ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. შეხვედრას დაესწრებიან, აგრეთვე, საერთაშორისო ექსპერტები. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რიკოთის გვირაბს კაპიტალური რემონტი ჩაუტარდება. როგორც საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურში განაცხადეს, ამისათვის, სულ ცოტა, 8-10 მილიონი დოლარია საჭირო, თუმცა ეს თანხა სახელმწიფოს არ გააჩნია. რიკოთის გვირაბის რეაბილიტაციაზე, სავარაუდოდ, რომელიმე უცხოური კომპანია იზრუნებს. მას გვირაბი გრძელვადიანი იჯარით, 15-20 წლით უნდა გადაეცეს. ჯერჯერობით, იჯარის პირობები ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის. ამ საკითხზე ქართული მხარე მსოფლიო ბანკის კონსულტანტებთან ერთად მუშაობს. გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2006 წლის გაზაფხულისთვის იგეგმება. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ფერადი რევოლუციები. შუალედური ფინიში ("Washington ProFile", აშშ)

პირველი გვირდიაძე

ყირგიზეთში ცოტა რამ შეიცვალა. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანების ერთმა ჯგუფმა მეორე შეცვალა. რაიმე სახის ცვლილებებზე საუბარი საკმაოდ ძნელია. საქართველოში გატარდა რამდენიმე [illegible] ეკონომიკური რეფორმა, მოკლე პერიოდში მოხერხდა კორუფციის დონის მკვეთრი დაწევა. ამის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის განვითარების კონკრეტული გეგმის შემუშავება დღემდე ვერ შეძლო.

**ჯასტინ ლოგანი, ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (CATO Institute):**

უკრაინის მაგალითზე შეიძლება დავინახოთ, რომ ქვეყნებში, სადაც "ფერადი რევოლუციები" მოხდა, რეფორმების გატარების აუცილებლობის შესახებ ერთიანი აზრი არსებობდა. თუმცა, არ შეიძლება ითქვას, რომ არჩეული იყო ერთი კონკრეტული მიდგომა. გაქრა ძველი რეჟიმი, ხელისუფლებაში ახალი და ერთობ ჭრელი პოლიტიკური ელიტა მოვიდა. ასეთ პირობებში საკმაოდ რთულია, ყველას აზრი და სურვილები გაითვალისწინო. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ ჯერჯერობით ძნელია, ისაუბრო რაიმე სერიოზულ ცვლილებებზე იმ ქვეყნებში, სადაც რევოლუციები მოხდა. მეორე პრობლემა, რომელიც იკვეთება, კერძოდ - ყირგიზეთში, ის არის, რომ ძველი ხელისუფლების შეცვლის პარალელურად, არ შეიცვალა ჩინოვნიკური სტრუქტურები. ასე რომ, ამ ქვეყანაში მხოლოდ უმაღლესი ხელისუფლების ცვლა მოხდა.

ძალზე ადრეა საუბარი იმის შესახებ, რომ იულია ტიმოშენკოს გადაყენების შემდეგ უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო რუსეთისკენ შემობრუნდება. მით უფრო, რომ "ნარინჯისფერ რევოლუციამდეც" ტიმოშენკოს შეხედულებები იუშჩენკოს ხედვებისაგან ბევრ საკითხზე რადიკალურად განსხვავდებოდა. ისინი კუჩმას დამარცხების სურვილმა გააერთიანა. ბუნებრივია, რომ უკრაინა, გარკვეულწილად, დამოკიდებულია რუსეთზე. კერძოდ, ენერგეტიკულ სექტორში. ამის მიუხედავად, ნამდვილად ნაადრევია საუბარი იმის შესახებ, რომ უკრაინის ხელისუფლება რუსეთზე "დაყრდნობას" აპირებს.

**მარკ ფორ ჰაგენი, კოლუმბიის უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების განყოფილების პროფესორი (Columbia University):**

[illegible] მოხდა და უამრავი კრიტიკული განცხადება გაკეთდა. თუმცა, ამის მიუხედავად არ შეიმჩნეოდა განსაკუთრებული წარმატებები ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და სამხედრო სისტემების რეფორმირებაში. საგარეო პოლიტიკაში უკრაინა გულმოდგინედ ამაგრებს საკუთარ პროდასავლურ პოზიციებს და ცდილობს, რუსეთთან ახალი ურთიერთობების იდეოლოგია შეიმუშაოს. თუმცა, რიტორიკის გარდა, ცოტა რამ თუ შეიცვალა. ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ვითარების გაუმჯობესების შანსი რჩება.

ძნელი სათქმელია, როგორია უკრაინის უახლოესი პერსპექტივები, რადგან არ ვიცით, ვინ შევა ახალ მთავრობაში. თუკი იგივე ადამიანები მოვლენ, მაშინ რეფორმებს არცთუ კარგი პერსპექტივა აქვს. სხვა საქმეა, თუ მთავრობაში არაკორუმპირებულები და ეფექტური მმართველები შევლენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მე თავიდანვე მაკვირვებდა, თუ რამდენი ოლიგარქი ან მათთან დაახლოებული პირი იყო ტიმოშენკოს მთავრობაში. ჩემთვის გაუგებარია, როგორ უნდა ებრძოლო ოლიგარქებს, თუკი ახალი ოლიგარქები თავად მოგყავს ხელისუფლებაში. რა თქმა უნდა, უკრაინა ერთადერთი ქვეყანა არ არის, რომელსაც ასეთი პრობლემები აქვს. თუმცა, იქ სხვა რამის იმედი ჰქონდათ. როგორც რუსეთში ამბობენ, "хотелось как лучше, а получилось как всегда". მალე არჩევნები გაიმართება. თუკი ქვეყანა რაიმე სახის გაუმჯობესებას ვერ დაინახავს, მაშინ იუშჩენკომ, შესაძლოა, რადგან უმრავლესობაც დაკარგოს. შედეგად, მთავრობა მასთან თანამშრომლობაზე უარს იტყვის, და აქ უკვე იგი ვერაფერს გახდება. მიმდინარეობს საუბარი საკონსტიტუციო რეფორმებზე, რომელიც უკრაინას საპარლამენტო რესპუბლიკად აქცევს. თუმცა, ეს არ შედის რამდენიმე პოლიტიკოსის, მათ შორის, იუშჩენკოს ინტერესებში.

უკრაინაში მომხდარი პროცესები გვასწავლის, როგორ უნდა მიუდგე პოლიტიკურ ცვლილებებს. არ ღირს "ვაშას" ძახილი და სრული მოდუნება მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოება უფრო აქტიური გახდა. დემოკრატიული პროგრესისათვის ბრძოლა გაცილებით ძნელია და უფრო მეტ დროს ითხოვს. ამასთან, იგი არც ისეთი რომანტიულია, როგორც მიაჩნიათ.

**რაფის აბაზორვი, ჰარიმანის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (Harriman Institute):**

რა ემოციური დამოკიდებულაც არ უნდა გვქონდეს წარსულისადმი, ყველაზე მთავარი ის არის, რომ შეიმჩნევა ვნებათაღელვის და კონფრონტაციის ხარისხის შემცირება. 2004 წლის მარტამდე ყირგიზეთში სასტიკი კონფრონტანცია იყო. საკუთარი მიზნების მისაღწევად, თითოეული მხარე რადიკალური ზომებისათვის მზად იყო და ოპონენტებს არ უსმენდა. რა თქმა უნდა, ყირგიზეთში რევოლუცია სახელმძღვანელოს მიხედვით არ მომხდარა. მას საკმაოდ ბევრი არასასიამოვნო მომენტი ახლდა თან - რაღაც პერიოდში გაბატონდა ქაოსი, ანარქია. არ შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის ყველა პრობლემა წარსულს ჩაბარდა.

როგორც ჩანს, ყირგიზეთს, საქართველოსა და უკრაინას შორის გარკვეული ანალოგიის გატარება შეიძლება. ამ ქვეყნებში არჩევნების წინ კონფრონტაცია საკმაოდ ძლიერი იყო და იყო შანსი, ეს სერიოზულ არეულობაში გადაზრდილიყო. "ფერადმა რევოლუციებმა", თუ შეიძლება მათ რევოლუციები ვუწოდოთ, "ორთქლი გამოუშვა" და ხელისუფლებებში სხვა ხალხი მოიყვანა. ჩვენ ჯერ არ ვიცით, როგორ გაუმკლავდებიან პრობლემებს ახალი ლიდერები, შეასრულებენ თუ არა დემოკრატიზაციასთან, სოციალურ და ეკონომიკურ რეფორმებთან დაკავშირებულ დაპირებებს და შეებრძოლებიან თუ არა კორუფციას. სამწუხაროდ, სამივე რესპუბლიკაში თითოეულმა ლიდერმა, დემოკრატიული ლოზუნგებისა და იდეების მიუხედავად, ამოწურა საკუთარი თავი საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით - ხელისუფლებაში ერთი და იგივე სახეები რჩებიან. თუკი რეფორმები გატარდება და ხელისუფლება წაახალისებს მეწარმეობას, მაშინ ქვეყანაში ჩამოყალიბდება მნიშვნელოვანი საშუალო ფენა. ამ ფენის წარმომადგენლები ის ადამიანები არიან, რომლებიც საკუთარ პოლიტიკურ სიმპათიებსა და ანტიპათიებზე დაფიქრდებიან. საშუალო ფენის ზრდა ქვეყანას სტაბილური განვითარების საშუალებას მისცემს როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით.

**მაიკლ სვეტიკი, კვლევითი ორგანიზაცია IFES-ის ევროპული და აზიური პროგრამების რეგიონული დირექტორი:**

სამივე ქვეყანაში - საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში ე.წ. "რევოლუციებმა" საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური განვითარების ახალი სტადია გამოიწვია. ამ მოვლენების შედეგები ჯერაც უცნობია - დასკვნების გამოტანა ჯერ ძალზე ადრეა. უნდა აღინიშნოს - არსებობს რაღაც ნიშნები, რომ ამ ქვეყნებში ვითარდება სამოქალაქო საზოგადოებები. თუმცა, შეიმჩნევა საწინააღმდეგო ტენდენციებიც, განსაკუთრებით, საქართველოში. თითოეულ რევოლუციას თავისი მიზეზი ჰქონდა. თითოეულ ქვეყანაში უნიკალური პროცესები მიმდინარეობდა. ასევე, არ დაგავიწყდეთ, რომ ეს ქვეყნები დემოკრატიზაციის სხვადასხვა ფაზაში იმყოფებიან.

საქართველოში ოპოზიციამ დამაჯერებლად გაიმარჯვა. იგი გაერთიანდა სააკაშვილის მთავრობის ირგვლივ, ხოლო მისმა ოპონენტებმა ძალები ჯერაც ვერ მოიკრიბეს. უკრაინაში სხვა სურათია: ერთი ძლიერი პოლიტიკური კოალიცია მეორეს უპირისპირდება. ყირგიზეთში ძალთა განლაგება საქართველოში არსებულ ვითარებას წააგავს. ძნელი სათქმელია, შეასრულებენ თუ არა დაპირებებს ხელისუფლებაში მოსული ადამიანები. ერთი რამ არის ცნობილი: ერთი თავისუფალი არჩევნები დემოკრატია არ არის. არჩევნების შემდგომი ციკლი ბევრს გადაწყვეტს და გვაჩვენებს, რეალურად - რა ფასი აქვს ამ რევოლუციებს და რევოლუციონერებს.

**ჯეიმს ვერტში, სენტ-ლუისში ვაშინგტონის უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევათა განყოფილების უფროსი (Washington University in St. Louis):**

უკრაინასა და საქართველოში ვითარება ძალზე განსხვავებულია. საქართველოს ახალი ხელისუფლება საკმაოდ წარმატებულად მოქმედებს - ეკონომიკა ვითარდება, ტურისტების რიცხვი იზრდება. გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ გადასახადები უკეთ გროვდება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მოსახლეობა არა მხოლოდ პატივს სცემს ხელისუფლებას, არამედ ენდობა კიდეც.

თუმცა, შემიძლია ვთქვა, რომ იუშჩენკოს გადაწყვეტილება, მთავრობის გადაყენების შესახებ, ძალზე შემაშფოთებელი ნიშანია. გაურკვეველია, ვინ გაიმარჯვებს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, ამიტომაც უკრაინა "ჰერშია გამოკიდებული".

უკრაინასა და საქართველოს შორის მთავარი განსხვავება ის არის, რომ საქართველოში გამარჯვებულმა ძალებმა ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ ერთიანობა შეინარჩუნეს. შესაძლოა, ეს მათი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებაა. საქართველოს კარგი პერსპექტივა აქვს, დარჩეს ლაბორატორიად რეგიონში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საქმეში. რესპუბლიკის ეკონომიკის გაძლიერება საუკეთესო გზაა ქვეყნის ტერიტორიული პრობლემის გადაჭრაში. აყვავებული საქართველო მეზობლებისთვის მიმზიდველი მაგალითი იქნება, მათ შორის, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთისათვის. არის იმედი, რომ საქართველოსაგან გამდგარი რეგიონები მოინდომებენ მასთან შეერთებას ეკონომიკური მოსაზრებების გამო. სამწუხაროდ, საქართველოში შეიმჩნევა ოპოზიციაზე ზეწოლის ტენდენციები - პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე თავდასხმები, ოპოზიციური ტელეარხების დახურვა. ეს პროცესი უნდა შეჩერდეს.

ტიმოშენკოს წასვლის შემდეგ უკრაინის მომავლის პროგნოზირება გაცილებით რთულია. ამჟამად უკრაინა საკმაოდ რთულ პერიოდში იმყოფება. იმედი მაქვს, რომ არ მოხდება უკრაინის გაყოფა ქვეყნის უკრაინულ და რუსულ მხარეებად.

# ცხინვალი ქართულ მხარეს ეუთო-სა და აშშ-სთან უჩივის

*სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ კონფლიქტის ზონაში ქართული სამშვიდობოების სარდლის პაატა ბედიანაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მიზეზი 20 სექტემბერს, ცხინვალის რეგიონში მომხდარი აფეთქებებია, რომელიც, ედუარდ კოკოითის განცხადებით, სამშვიდობო პროცესის ჩაშლისათვის მოხდა.*

არაღიარებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი გუშინ, საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელს როი რივს შეხვდა. საუბარი, ძირითადად, სულ ცოტა ხნის წინ, კონფლიქტის ზონაში მომხდარ აფეთქებებს შეეხო. კოკოითი ყველაფერში ბრალს საქართველოს თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს და ქართველი სამშვიდობოების სარდალს, პაატა ბედიანაშვილს სდებს.

**"პროვოკაციები კონფლიქტის ზონაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის გამოჩენის შემდეგ დაიწყო, ხოლო ცხინვალის დაცხრილვას პაატა ბედიანაშვილი ხელმძღვანელობდა,"** - განაცხადა მან როი რივთან შეხვედრაზე.

როგორც სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტი იტყობინება, დე ფაქტო პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ჩვენებებიც არსებობს.

ამასთან, კოკოითის თქმით, თუ ქართული მხარე კონფლიქტის დარეგულირების პროცესის გაგრძელებას აპირებს, მაშინ შერეული საკონტროლო კომისიის სტატუსი უნდა ამაღლდეს და მასში გაცილებით მაღალი უფლებამოსილებების მქონე პირები უნდა შედიოდნენ.

**"ჩვენ სამშვიდობო პროცესიდან გადახვევას არ ვაპირებ. პირიქით, ჩვენ მზად ვართ უფრო აქტიური, გადამწყვეტი მოქმედებებისთვის. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ღია და სამართლიანი თამაში,"** - განაცხადა კოკოითმა.

თავის მხრივ, როი რივმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისთვის აუცილებელია ედუარდ კოკოითის და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის შეხვედრა. მისივე თქმით, ეუთო და საერთაშორისო ორგანიზაციები მხარს უჭერენ შერეული საკონტროლო კომისიის არსებულ ფორმატს და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებას.

ამას გარდა, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში ნოტა გაუგზავნა, სადაც საუბარია ნატო-ს ქვეყნების შეიარაღების გამოყენებაზე ცხინვალის რეგიონის დაცხრილვისას.

**"ქართული მხარის ქმედება სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის 15 წლისთავის დღეს არის უხეში პროვოკაცია და ყველა შეთანხმების დარღვევა, მათ შორის, აშშ-დან მიღებული შეიარაღების კონფლიქტის გადაჭრაში გამოუყენებლობის შესახებ,"** - აცხადებს დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი მურატ ჯიოევი.

მისივე ინფორმაციით, ცხინვალი ნაღმტყორცნებიდან დაიცხრილა და ასევე გამოყენებულ იქნა ამერიკული შაშხანა M-16.

ჯიოევის თქმით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა კონფლიქტის გადაჭრის მშვიდობიანი გზის ერთგულია და მზად არის ღია დიალოგისთვის ყველა დემოკრატიულ ძალებთან, რომლებიც კავკასიაში მშვიდობასა და სტაბილურობაში დაინტერესებულნი არიან.

**"სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმედი აქვს, რომ აშშ-ს საელჩო საქართველოს ხელისუფლებას ხელს ააღებინებს ახალ პროვოკაციებზე და შეიარაღებული ზეწოლის ნებისმიერ ფორმაზე ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებაში,"** - განაცხადა დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა.

იგი არადამაჯერებლად მიიჩნევს საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების განცხადებას ცხინვალის დაცხრილვასთან დაკავშირებით.

**"საქართველოს ხელისუფლების მიერ ცხინვალის დაცხრილვის უარყოფა იმის აღიარებაა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უკონტროლო შეიარაღებული ფორმირებებია, რომელთაც ამერიკული შეიარაღება და მძიმე ნაღმმტყორცნები აქვთ და ტერორისტულ საქმიანობას ეწევიან,"** - აყალიბებს საკუთარ ვერსიას მურატ ჯიოევი.

**24 საათი**

# სასწავლო წელი ასეც იწყება

ნინო ბერელიძე
დალი კუპრავა

## აქა ამბავი "ტუზისა"

პირველ სასწავლო დღეს უნივერსიტეტის რექტორმა რუსუდან ლორთქიფანიძემ სიხარულით აღნიშნა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტს "ტუზი დაეცა" - ყველაზე მეტი გრანტი მათთან მოხვდა. ფაქტი მეტყველებს, რომ: პირველი, უნივერსიტეტი, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება, ჯერ კიდევ ავტორიტეტულია და მეორე, უნივერსიტეტში სახელმწიფო დაფინანსება მოიმატებს.

ვერ ვიტყვით, რექტორის გამონათქვამმა, თუ პროფესიულმა ინსტინქტმა (ფინანსები იღბალთან და გამართლებასთანაც ასოცირდება), უნივერსიტეტის ერთ ფაკულტეტზე სპეციალობები "გაათამაშეს". ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის მეოთხეკურსელი: **"მეოთხე კურსზე კონკრეტული სპეციალობები უნდა აგვერჩია. რომ მოვედით, გვითხრეს, რომ თითოეული ჩვენგანის სპეციალობა ალალბედზე გადაწყდებოდა. ფურცლებზე ეწერა - ან საფინანსო, ან საბანკო, ან საგადასახადო. ავიღე ფურცელი, გადმოვატრიალე და შემხვდა საფინანსო. ეს ჩემთვის უკეთესი იყო, ვიდრე საგადასახადო შემხვედროდა. საერთოდ კი, საბანკო მინდოდა და გასული სამი წლის განმავლობაში ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩემი სპეციალობა მევე უნდა შემერჩია."** მეორე სტუდენტს კი "საგადასახადო ერგო", მასაც საბანკო ერჩია. შემდეგ ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ "რჩევა მისცა" სტუდენტებს, ერთმანეთში მორიგდით და გადაცვალეთო. მათივე თქმით, ისინი წელს პრაქტიკას იმ სპეციალობების მიხედვით გაივლიან, რომელიც ბედისწერამ არგუნა, ისწავლიან განსხვავებულ საგნებს, მაგრამ **"დიპლომში ყველას ეკონომისტი ჩაგეწერებათო, გვითხრეს."**

ლალი კობახიძე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მთავარი მეთოდისტი: **"ეს გაკეთდა იმიტომ, რომ სტუდენტს არ ეთქვა "მე ეს მინდა, მე ის მინდაო." ახლა 50 სტუდენტი საგადასახადოზეა და 75-75 - საფინანსოზე და საბანკოზე. პროგრამით მათ შორის მხოლოდ საათობრივი განსხვავებაა სპეციალობის საგნებს შორის. თუ რამე პრობლემაა, სტუდენტს შეუძლია განაცხადოს ჩემთან და მე ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრას დავავალებ, სტუდენტის სასარგებლოდ გადაწყვიტოს."**

P.S. ჩვენ ფაკულტეტს სპეციალობის განაწილების უფრო თანამედროვე ფორმებს შევთავაზებთ, მაგალითად, "გადაფხეკე და მოიგე". იქნებ, "ტუზის დაეცეს" და სახელმწიფო მოიპოვოს. არსებობს ადამიანის თავისუფლება - არჩევანის უფლება.



## ონი - ეროვნული გამოცდების სახელოვანი პერსონაჟი

ონის რაიონში 64 სოფელი, 17 საკრებულო და 17 საშუალო სკოლაა. წელს საშუალო სკოლა 72-მა ბავშვმა დაამთავრა. ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა 32-მა მოსწავლემ მიიღო. ყველამ წარმატებით დაძლია ბარიერი, სტუდენტები გახდნენ, მათგან ცხრამ კი სახელმწიფო დაფინანსებაც მოიპოვა. ეს ძალიან კარგი შედეგია, მით უმეტეს, რომ რაიონის განათლების სისტემაში ბევრი პრობლემაა. მნიშვნელოვანი პრობლემაა განუწყვეტელი მიგრაცია (ამ მიზეზით უკვე დაიხურა ქვედისა და შქმერის სკოლები). წელს სოფელ საკაოს არასრული საშუალო სკოლა უკვე ორმა მასწავლებელმა მიატოვა, რომლებიც წლების განმავლობაში, დარსა თუ ავდარში, რაიონიდან სოფლამდე ათობით კილომეტრს გადიოდნენ...

გამართლების შემთხვევაში, სკოლებიდან მიგრირებულთა ადგილს არაპროფესიონალები იკავებენ. ზოგიერთ მათგანს სკოლასთან მხოლოდ მშობლის სტატუსი აკავშირებს. თუ გავიხსენებთ შარშანდელ სასწავლო წელს, ეროვნულ გამოცდებამდე ონის რაიონიდან ბევრი შენიშვნა იყო: **"ჩემს შვილს მასწავლებელი არ ჰყავდა და როგორ უნდა ესწავლაო!" "სპეციალისტების პრობლემა ყოველთვის აქტუალური იყო და სათანადო კვალიფიკაციის პედაგოგებით რაიონის ერთადერთ საშუალო სკოლასაც კი ვერ უზრუნველვყოფთ,** - განმარტავს ონის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ნოდარ შერაზადიშვილი, **- ძალისხმევას არ ვიშურებთ, რომ გამოცდილი მასწავლებლები მოვიზიდოთ და დავასაქმოთ. სადაც ეს არ ხერხდება, იქ ინტენსიურად ვმუშაობთ სკოლის დირექტორებთან, მათთვის და არაკვალიფიციური კადრებისათვის სისტემატურად ვატარებთ სათანადო სწავლებებსა და ტრენინგებს. შედეგითაც კმაყოფილნი ვართ."**

მაგრამ სოფლის სკოლაში მასწავლებელს განსაკუთრებული სირთულეები აუცილებლად შეხვდება, რადგან დღეს ძნელია, წარმოიდგინო ბავშვი, რომელსაც მულტიპლიკაციური ფილმი არასოდეს უნახავს და ზღაპრების ილუსტრირებული წიგნიც კი უცხოა მისთვის. ასეთია იქაური ბავშვების უმეტესობა. ამ პირობებში ზოგადი განათლების მიღების იმედი მოსწავლეს მასწავლებლისაგან შეიძლება ჰქონდეს, და სავალალოდ, ეს გზაც თითქმის იჭრება მათთვის.

ონელი ბავშვების წარმატება მშობლების ანგარიშზეა: მშობელი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შვილს სათანადო განათლება მისცეს, რადგან სწავლა მისთვის უკეთეს მომავალთან ასოცირდება. კინოკადრი: თოვლიან ღამეში ჭრაქით ხელში სოფლის ორღობეში ბავშვი მიდის თანაკლასელთან - სახელმძღვანელო უნდა ითხოვოს.

## შილდელთა გასაჭირი

შილდა დიდი სოფელია და პირველ საშუალო სკოლაში 525 მოსწავლეა. სკოლას ორი შენობა აქვს - ძველი და ახალი. ძველი შენობის კაპიტალური რემონტი "სიფის" პროგრამით ორ თვეში დასრულდება. შედარებით ახალ შენობას სამომავლოდ გაარემონტებენ. დერჯერობით, ახალში ორ ცვლაში სწავლა უხარვეზოდ მიმდინარეობს.

პრობლემა მაინც არის.

სკოლის დირექტორი ციური გულიაშვილი: **"შესანიშნავად გარემონტებული სკოლის საკლასო ოთახებში ინვენტარი არა გვაქვს: მერხები, სკამები, დაფები... გვაქვს დამტვრეული ინვენტარი, რომელიც უკვე შეკეთებას ვერ აიტანს, ნაწილებად იშლება. საფრანგეთის საელჩომ (ჩვენთან უცხო ენა ფრანგულია) ორი საკლასო ოთახისთვის 66 სკამი, 33 მერხი, ორი დაფა, მასწავლებლის მაგიდა და სკამი გვაჩუქა. დანარჩენ კლასებში რას შევიტანთ, არ ვიცი."**

როგორც სკოლის დირექტორმა გვითხრა, სკოლის ისტორია ერეკლე მეორიდან იწყება, დღევანდელობა კი ასეთია: ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდეგ 17 კურსდამთავრებული სტუდენტი გახდა.

# მეცხრე ბლოკი 1 ოქტომბრიდან ჩაირთვება

"თელასში" აცხადებენ, რომ მეცხრე ბლოკი გრაფიკის მიხედვით - 1 ოქტომბრიდან ჩაირთვება და 2006 წლის მაისის ბოლომდე იმუშავებს. "შედეგად, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში თბილისის ელექტრომომარაგება შეუფერხებლად განხორციელდება," - აცხადებენ თბილისის ელექტროგამანაწილებელ კომპანიაში.

"თელასში" ასევე აცხადებენ, რომ კომპანიის მიერ ახლახან 3 მილიონ დოლარად გარემონტებული ბლოკის მიერ გამომუშავებულ ენერგიას მიმდინარე შემოდგომა-ზამთრის სეზონზე მთლიანად "თელასი" შეისყიდის. შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც ბლოკი კერძო საკუთრებაშია, მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მესამედის შესყიდვის ვალდებულება საბითუმო ბაზარს აქვს.

"თელასის" პროგნოზით, ოქტომბერში ენერგობლოკი 200 მეგავატი სიმძლავრით, ნოემბერში კი 250 მეგავატი სიმძლავრით იმუშავებს. ენერგობლოკის მუშაობისთვის საჭირო ბუნებრივი აირის საფასურის საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია, თუმცა "მტკვარი-ენერგეტიკაში" აცხადებენ, რომ 2006 წლის 1 იანვრამდე 100 კუბურ მეტრ აირს რუსეთიდან 65 დოლარად მიიღებენ.

გარდა ამისა, "თელასში" აცხადებენ, რომ სომხეთიდან 100 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის იმპორტი წელსაც გაგრძელდება. "კავკასიონის" რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ კი, კომპანია რუსეთიდან დამატებით 50 მეგავატს შემოიტანს. იმუშავებს ხრამჰესიც. ამიტომ, "თელასში" ვარაუდობენ, რომ ფორსმაჟორის გარდა, თბილისის შეუფერხებელ ელექტრომომარაგებას ზამთრის სეზონზე ხელს ვერაფერი შეუშლის.

**24 საათი**

# ჰოლანდიელები საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალით ინტერესდებიან

საქართველოში, უკვე ორი დღეა, რაც ჰოლანდიის 40-კაციანი სამთავრობო დელეგაცია იმყოფება. დელეგაციას ნიდერლანდების ტრანსპორტის, წყლის და შრომის მინისტრი კარლა პეიჯსი ხელმძღვანელობს. ვიზიტი არაოფიციალურია და გაცნობით ხასიათს ატარებს.

ორშაბათს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ქართულ-ნიდერლანდურ ბიზნესფორუმში, სადაც საუბარი საქართველოს ტრანსპორტის დარგის შესაძლებლობებსა და განვითარების პერსპექტივებს შეეხო. გუშინ დილიდან კი, დელეგაციის წარმომადგენლებმა ოფიციალური შეხვედრები გამართეს. დილით ჰოლანდიელები ეკონომიკური განვითარების მინისტრ ირაკლი ჩოგოვაძეს ხვდებოდნენ. როგორც მინისტრმა ჰოლანდიელებთან შეხვედრის შემდეგ დააკონკრეტა, საუბარი საქართველოს საჰაერო, სარკინიგზო და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაში ჰოლანდიური მხარის მონაწილეობას შეეხო. ცნობისათვის: შეხვედრას ინფრასტრუქტურის დარგში 10-მდე უმსხვილესი ჰოლანდიური კომპანიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ჩოგოვაძესთან შეხვედრის შემდეგ ჰოლანდიელებმა ფოთის პორტი დაათვალიერეს - როგორც ცნობილია, ეს პორტი ნაწილობრივ ჰოლანდიური ინვესტიციებით ფინანსდება.

ბათუმში ჰოლანდიელები საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელსაც შეხვდნენ. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი ლევან ვარშალომიძე, სავაჭრო სამრეწველო პალატის თავმჯდომარე ჯემალ ინაიშვილი და საქართველოში ნიდერლანდების ელჩი ესწრებოდნენ.

**24 საათი**

# "ამერიქან ექსპრესმა" "გაერთიანებულ ქართულ ბანკს" საკრედიტო ხაზი გაუხსნა

**თბილისი.27.09.05.მედიანიუსი.** ქართული საბანკო სისტემის ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტი დაფიქსირდა. ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა მძლავრმა ფინანსურმა ინსტიტუტმა "ამერიქან ექსპრესმა" "გაერთიანებულ ქართულ ბანკს" პირდაპირი საკრედიტო ხაზი გაუხსნა.

როგორც "გაერთიანებულ ქართულ ბანკში" აცხადებენ, 2 მილიონი დოლარის მოცულობის საკრედიტო ხაზიდან 1 მილიონი ვაჭრობის დაფინანსებას, ხოლო 1 მილიონი მოკლევადიან დაკრედიტებას მოხმარდება.

"გაერთიანებული ქართული ბანკის" გენერალური დირექტორის იუზა თავდიდიშვილის თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანი თავად ქართულ-ამერიკული ურთიერთობის პრეცედენტია. გარდა ამისა, ახალი საკრედიტო რესურსი ბანკს საშუალებას მისცემს გაცილებით ფართო მასშტაბი შესძინოს აკრედიტივებისა და გარანტიების მომსახურებას. საკრედიტო ხაზი გრძელვადიანია და "გაერთიანებული ქართული ბანკის" კლიენტურა მისით რევოლვერულ (განახლებად) რეჟიმში სარგებლობას შეძლებს. მისივე თქმით, "გაერთიანებული ქართული ბანკი" უახლოეს მომავალში ბაზარს კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან სიახლეს შესთავაზებს.

"ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ბანკში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა "ამერიქან ექსპრესთან" საკრედიტო ურთიერთობის დამყარების მიზნით. მოლაპარაკებების პროცესი შედეგიანად დასრულდა და მიმაჩნია, რომ ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტია, რამდენადაც პირველად ხდება, რომ ამერიკული ბანკი ქართულ ბანკს პირდაპირ საკრედიტო ხაზს უხსნის. ეს კი, "გაერთიანებული ქართული ბანკისათვის" ახალი ფინანსური რესურსის მოზიდვის გარდა, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია, ქართული საბანკო სექტორის საიმედობასა და მის მაღალპარტნიორულ შესაძლებლობებზე მეტყველებს", - განაცხადა "გაერთიანებული ქართული ბანკის" გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ ირაკლი მექვაბიშვილმა.

# საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებს პატიმრობა შეუფარდეს

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით, დაკავებულ თბილისის საგადასახადო ინსპექციის ოთხ თანამშრომელს აღმკვეთი ღონისძიება სასამართლომ გუშინ შეუფარდა. როგორც საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განაცხადეს, ბრალდების მხარის შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა. თბილისის საგადასახადო ინსპექციის ოთხ თანამშრომელს - გიორგი ჯორჯიაშვილს, ნოდარ მანანაძეს, ვლადიმერ ცერცვაძეს და გიორგი შოშიაშვილს ბრალი გუშინწინ წაუყენეს. როგორც გენერალურ პროკურატურაში განმარტავენ, აღნიშნულ თანამშრომლებს ბოლო სამი დღის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და ძვირად ღირებულ რესტორანში დაევალათ ქრონომეტრაჟის ჩატარება იმისთვის, რომ ეწარმოებინათ საქონლის ყოველდღიური აღრიცხვა და დაწესებულების ყოველდღიური შემოსავალი დაედგინათ. ამით უნდა გარკვეულიყო, თუ რამდენად კეთილსინდისიერი გადამხდელი იყო აღნიშნული რესტორანი. პროკურატურის ინფორმაციით, თბილისის საგადასახადო ინსპექტორების მიერ 23-24 სექტემბერს ჩატარებული ქრონომეტრაჟის შედეგად რესტორნის მიერ ერთ დღეში ნავაჭრი თანხა 3000 ლარს არ აღემატებოდა. ორ დღეში აღნიშნულ საქმეში ჩაერთვნენ ფინანსური პოლიციის თანამშრომლები. მათ უნდა დაედგინათ, რამდენად კეთილსინდისიერად მუშაობდნენ თბილისის საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები. აღმოჩნდა, რომ 25 სექტემბერს რესტორნის ნავაჭრმა თანხამ 10 200 ლარამდე მიაღწია.

"თუ შემოსავლების დამალვა არ ხდებოდა ორი დღის განმავლობაში, მესამე დღეს ნავაჭრი თანხის ამ რაოდენობით გაზრდა წარმოუდგენელია", - განმარტავენ პროკურატურაში. საქართველოს გენერალურ პროკურატურაში არ კონკრეტდება, რომელი იყო ეს რესტორანი. ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას გენერალური პროკურატურა აწარმოებს. **ინტერპრესნიუსი**

# "ოშკი" უხარისხო ფქვილს ასაღებდა

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტისთვის ფალსიფიცირებული, საკვებად უვარგისი პურის ფქვილის მიწოდების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. საქმე დეპარტამენტის საგამოძიებო ოპერატიულმა სამმართველომ ტენდერში გამარჯვებული შ.პ.ს. "ოშკის" წინააღმდეგ აღძრა.

როგორც სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში განაცხადეს, მიმდინარე წლის 7 აგვისტოს დეპარტამენტის შიდა კონტროლის განყოფილებამ, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სამსახურებრივი შემოწმება ჩაატარა. შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ დეპარტამენტისთვის "ოშკის" მიერ მიწოდებული პურის ფქვილის 35 პროცენტს (1900კგ) განმასხვავებელი ნიშნები აღმოაჩნდა, რის გამოც, ექსპერტიზაზე გაიგზავნა. ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ფქვილი საკვებად უვარგისი იყო. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა და ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციას გადაეცა. **ინტერპრესნიუსი**

# "ზღვა, რომელიც შორია"



სცენა სპექტაკლიდან

ზაზა ფაჩუაშვილი

ასე ჰქვია სპექტაკლს, რომლის პრემიერა სამეფო უბნის თეატრში შედგა. ამიერიდან იმის მოლოდინში ვიქნებით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამ სპექტაკლს აფხაზური საზოგადოება იხილავს და მიხვდება, რომ ჩვენ, ქართველები მათ გულისტკივილს როგორც საკუთარს, ისე ვგრძნობთ და მათ სათქმელსაც თავადვე ვამბობთ. თუმცა, პირველ რიგში, სპექტაკლი ქართულმა საზოგადოებამ უნდა ნახოს და მიიღოს. პიესისა და დადგმის მხატვრულ ღირსებაზე არაფერს ვამბობთ. ამისათვის ავტორთა დასახელებაც საკმარისია - გურამ ოდიშარია და თემურ ჩხეიძე. მთავარი - სიმართლეა, რომელიც სცენიდან ღაღადებს, რომ ქართველები და აფხაზები ძმები არიან და მათ ერთმანეთის გარდა, პატრონი არავინ ჰყავთ. ისეთი აგრესიული განწყობის ადამიანები, რომლებისთვისაც სიტყვა "ძმაც" კი დუყისმომგვრელ გაღიზიანებას იწვევს, ქართველებშიც გამოჩნდებიან და აფხაზებშიც, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მათი წამალი სწორედ ეს სპექტაკლი უნდა იყოს, ოღონდ, ნახონ. ახლა კი თითო კითხვიან ინტერვიუებს შემოგთავაზებთ დრამატურგთან, რეჟისორთან და ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელთან, რომლებსაც დიდხანს ველოდით, სანამ დარბაზში ტაში დაცხრებოდა.

**- აპირებთ თუ არა აფხაზური საზოგადოებისთვის სპექტაკლის ჩვენებას?**

**თემურ ჩხეიძე:** "ამაზე ნამდვილად არ მიფიქრია. აქაური გარემო ძალიან მომწონს და, ჯერჯერობით, აქ ვითამაშებთ. მერე ვნახოთ, რა იქნება. ისე, როგორც კი მიზნად სპექტაკლის რომელიმე კონკრეტული საზოგადოებისთვის ჩვენებას დაისახავ, მაშინვე რაღაც აგიტაციის ფორმას მიიღებ - არავითარი, არავითარი აგიტაცია. ვისაც უნდა, მოვიდეს, ნახოს სპექტაკლი და ჩვენთან ერთად დაფიქრდეს. ეს არის და ეს."

**- თქვენი აზრით, როგორ მიიღებენ სპექტაკლს აფხაზები, თუკი ნახავენ?**

**გურამ ოდიშარია:** "მე მგონია, აფხაზები ძალიან დიდი ინტერესით ნახავენ ამ სპექტაკლს. პიესაში ისეთი ტექსტია, რომელიც მათ ინტერესს აუცილებლად გააღვიძებს. 4 პერსონაჟი აფხაზია, ერთი - ქართველი, მოქმედება სოხუმში ხდება. თუ ქართველს აინტერესებს, რას ფიქრობს და ამბობს აფხაზი, ასევე აფხაზს აინტერესებს, რას ფიქრობს და ამბობს ქართველი. ჩვენ რეალური ვითარების გულწრფელად გადმოცემას შევეცადეთ. მიმაჩნია, რომ ნამდვილი მამაკაცური სპექტაკლი გამოვიდა - ბავშვობის ორი მეგობრის შეხვედრა, მწარე სიმართლე, მაგრამ ისიც, რომ მათ უერთმანეთოდ არ შეუძლიათ.

სპექტაკლში მოთხრობილი ყველა ამბავი ნამდვილია. მთავარი გმირის თავგადასავალიც ნამდვილია. ცოტა ჩემი ბიოგრაფიაცაა."

**- დადგება დრო, როცა ამ სპექტაკლს სოხუმში ითამაშებთ?**

**დიმა ჯაიანი:** "შეიძლება, ეს ხვალვე მოხდეს. მე ვიცი ჩვენს მიმართ ძალიან აგრესიულად განწყობილი აფხაზი მსახიობები (რომლებმაც, სხვათა შორის, თბილისის თეატრალური დაამთავრეს), მაგრამ აფხაზი გმირის, ასტამურის როლს სიამოვნებით ითამაშებენ. იმიტომ, რომ ამ სპექტაკლში აფხაზი გმირი ძალიან ძლიერია. პიესა ძალიან კარგად არის დაწერილი."

პრემიერისწინა ღონისძიება "თქვენი აფხაზეთის" რადიოპროექტის ინსცენირების ფონზე გაიმართა.

# ქართულ-აფხაზური ქვეყნის დაცემა და იმედი

პირველი გვერდიდან

სიმართლე რომ ითქვას, გლოვაზეიმის მიუხედავად, თბილისში და სოხუმში 27 სექტემბერი, ძირითადად, ერთნაირად აღინიშნა. ხალხმა და მთავრობამ დაღუპულთა მემორიალთან ყვავილები მიიტანეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს. ორივე ქალაქის მართლმადიდებლურ ტაძრებში ომის მსხვერპლთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს. დედებიც ორივე მხარეს ტიროდნენ. ოჯახებშიც ომში დაღუპულთა მოსახსენიებელი სუფრები გაიშალა.

სხვაობა ისაა, რომ აფხაზეთის ყველა ქალაქში დღე საზეიმო კონცერტებით დაგვირგვინდება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ომი ყველა აფხაზურ ოჯახს შეეხო და ნათესავებზე გამარჯვებას მაინცდამაინც ტკბილი გემო არ უნდა ჰქონდეს, აფხაზეთში კონცერტებს მხიარულად ვერ მოისმენენ. ასე რომ, რაგინდ სხვადასხვა სათაური დავარქვათ ჩვენს განცალკევებულ ყოფას, მაინც ერთ მდუღარე ქვაბში ვიხარშებით, რომელსაც სულ უფრო და უფრო უნთებს ცეცხლს მეზობელი რუსეთი და საიდანაც ცალ-ცალკე ვერც ჩვენ ამოვძვრებით და ვერც აფხაზები, თუ ერთმანეთს მხარი არ მივეცით. ჯერჯერობით კი, სამარცხვინოდ მარტო ვართ და დიდ ქვეყნებთან ერთმანეთს ვაბეზღებთ.

გმირთა მოედანზე, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა მემორიალთან მთელი მთავრობა მივიდა - ცენტრალურიც და ლეგიტიმურიც. მარადიულ ცეცხლთან ყვავილებისა და გვირგვინების მიტანის შემდეგ, გულზე შვილისსურათიანმა დედებმა უკვე მერამდენედ მონახეს საკუთარი პირმშოსა თუ მისი მეგობრების ქვაზე ამოტვიფრული გვარები. მერე ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა, მიტროპოლიტმა დავითმა პანაშვიდი გადაიხადა, დასასრულს კი ბრძანა: "ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ღმერთი თავის ერს არ დატოვებს. ვილოცოთ დაღუპულთა სულებისათვის, საქართველოს სულიერი აღორძინებისათვის და მალე გამთლიანდება სრულიად საქართველო."



ლევან ხერხეულიძის ფოტო

პანაშვიდი დაღუპულთა მემორიალთან.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ ირაკლი ალასანიამ 27 სექტემბერს ქართულ-აფხაზური ქვეყნის დამარცხების დღე უწოდა და კონკრეტული ვალდებულება აიღო: "ჩვენი თაობის ვალია, ქართველებსა და აფხაზებს დავუბრუნოთ გაერთიანებული სამშობლო, მშვიდობა და ამ მისიას ჩვენი თაობა შეასრულებს."

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემაც ორი ხალხის ერთიანობაზე ისაუბრა: "ჩვენ არ გვინდა ომი, ჩვენ არ გვინდა ჩვენი შვილების დაღუპვა და ამ "ჩვენს შვილებში" აფხაზებსაც და ოსებსაც ვგულისხმობ."

სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა ხალხთან ბოლომდე დარჩა, ყველას მოუსმინა, დედებს მოეფერა და პირობა დადო, რომ შერიგებისთვის ყველაფერს გააკეთებდა.

ნინო ბურჯანაძისაგან განსხვავებით, რომელმაც განაცხადა, აფხაზეთში ძალიან მალე დავბრუნდებითო, შვილმკვდარმა დედებმა დიდი ოპტიმიზმი ვერ გამოავლინეს.

ევგენი ნაჭყებიას დედა: "17 წლის იყო ჩემი შვილი, როცა გუმისთასთან დაიღუპა. არ მინდოდა გაშვება, მაგრამ ვერ გავაჩერეთ. 30 სექტემბერს უსრულდება 30 წელი. ვინ შეგვარიგებს, შვილო?! ეგრე ადვილია?! აფხაზები მშვიდობით დაგვაბრუნებენ?! მათ ზურგი აქვთ რუსეთიდან. არადა, ომი არ მინდა, არ შეიძლება. კიდევ უნდა დაიღუპონ ბავშვები?! კიდევ უნდა ატირდნენ დედები?! მე ვიყო ბოლო!"

ზურაბ ნადარეიშვილის დედა: "მარტო ეს მყავდა. სულ მარტო დავრჩი. სულ ვტირი, ვტირი. მაინც არ მესმის, რატომ არ უფრთხილდებიან აფხაზები თავს, რატომ ამბობენ, რომ ოკეანეში დახრჩობა ურჩევნიათ, პატარა ჭაობში წოლას. რუსეთში ხომ გაქრებიან?"

ერთი იმედი ჯვართამაღლებაა, რომელსაც მართლმადიდებელი სამყარო 27 სექტემბერს ზეიმობს. შემთხვევით ხომ არაფერი ხდება ამ ქვეყანაზე, სადაც ყველაფერს ღმერთი განაგებს.

# ჩვენ შეგვიძლია, აფხაზები და ოსები რუსეთს ხელიდან გამოვგლიჯოთ

ზაზა ფაჩუაშვილი

*კონლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილს მიაჩნია, რომ კონფლიქტურ მხარეებთან ვითარების გამწვავება ჩვენი ხელისუფლების ჩამოუყალიბებელი და არამდგრადი პოლიტიკის ფონზე ხდება. მისი თქმით, სამშვიდობო მოლაპარაკებების რესურსი არ ამოწურულა და ამისათვის საჭიროა აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირ კონტაქტზე გასვლა, საქმისადმი ახალი მიდგომა. ეს როგორ უნდა მოვახერხოთ, ინტერვიუდან შევიტყობთ.*



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

პაატა ზაქარეიშვილი

**- ბატონო პაატა, შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ სოხუმთან ვითარება ისევე გამწვავდა, როგორც ცხინვალთან?**

- აფხაზეთთან არა, მაგრამ ცხინვალთან სიტუაცია ნამდვილად გამწვავდა. შარშანდელი ზაფხულის ესკალაციის შემდეგ ასეთი რამ აქამდე არ მომხდარა. ეს მდგომარეობა გამოიწვია როგორც პროვოკაციამ რუსეთის მხრიდან, ასევე პროვოკაციაზე წამოგებამ ქართული მხრიდან.

რუსეთის მხარემ, იმის მაგივრად, რომ მძიმე ტექნიკის გამოჩენისთვის ხელი შეეშალა და დემილიტარიზაცია მოეხდინა, რაც მისი, როგორც მშვიდობისმყოფელის, უპირველესი მოვალეობაა, წააქეზა ოსური მხარე, რათა ქართული მხარე გამოეწვია. სამწუხაროდ, ქართული მხარე ამ პროვოკაციას აჰყვა და ოქრუაშვილის ქცევა პასპორტების შემოწმებასთან დაკავშირებით, რაც თავდაცვის მინისტრის საქმე ნამდვილად არ არის, ამის დადასტურება იყო.

რაც შეეხება ცხინვალის დაბომბვას, შემსრულებელი ცნობილი არ არის, მაგრამ ეუთოსა და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებებით, ისინი არ გამორიცხავენ, რომ ეს შეიძლება ქართულ მხარესაც გაეკეთებინა. დაბომბვას მოჰყვა საპასუხო რეაქცია, ოსების მიერ ქართული სოფლების დაბომბვა და, საბოლოო ჯამში, ვითარების გამწვავება.

სამწუხარო და სამარცხვინო ფაქტი კიდევ ის არის, რომ ამ ვითარებაში რუსეთი მშვიდობის მტრედად მოგვევლინა. რუსეთის საგანგებო ურთიერთობათა ელჩი კენიაკინი ჩადის ცხინვალში, მერე ჩამოდის თბილისში და გვეუბნება, ნუ გეშინიათ, ოსური მხარე მოლაპარაკებებიდან არ გადისო. რას ჰგავს ეს? რაღაც გათვლები ხომ უნდა კეთდებოდეს?

რა თქმა უნდა, აფხაზეთში ასეთი ვითარება არ არის. იქ ნამდვილად სიწყნარეა. აფხაზები მეტ გონიერებას იჩენენ. მობილიზაცია, ალბათ, იმიტომ გამოცხადდა, რომ ბაგაფშმა ცხინვალში ვიზიტის დროს ძალების დემონსტრაცია მოახდინა, ჩემი აყვანა არც ისე ადვილიაო. საქმე აქამდე არც მივიდოდა, მაგრამ მან ყოველ შემთხვევისთვის თავი დაიზღვია.

**- რა პერსპექტივა აქვს აფხაზურ-ოსურ ალიანსს?**

- აფხაზურ-ოსური ალიანსი ბუნებაში არ არსებობს. ეს არის რუსეთის მიერ თავისი ქვეშევრდომების მობილიზაცია, რომ ჩვენზე გავლენა მოახდინოს. რუსეთი უზინძურესად და სამარცხვინოდ თამაშობს, მაგრამ ეს ხდება ჩვენს მიერ ჩამოუყალიბებელი, არამდგრადი პოლიტიკის ფონზე. პრობლემებს ჩვენსა და აფხაზებს შორის, ასევე ჩვენსა და ოსებს შორის რუსეთი ძალიან კარგად იყენებს. ამიტომ, ახალ მიდგომებზე უნდა გადავიდეთ, ოსებთან და აფხაზებთან პირდაპირ კონტაქტებზე გავიდეთ.

**- რას ნიშნავს ახალი მიდგომა?**

- საქართველოში განათლების რეფორმა მართლაც წარმატებულად დაიწყო და მე მინდა, ეს ფაქტი მთელ ქვეყანასაც მივულოცო და პრეზიდენტსაც. ამასთან დაკავშირებით, განათლების მინისტრმაც და პრეზიდენტმაც თქვეს: ეს იყო რომანტიკოსების იდეა და იმ ჯგუფის წარმატება, რომელმაც სტანდარტები დაარღვიაო. ანუ წარმატებას მიაღწია იმ ხალხმა, ვინც მოვლენებს სხვანაირად შეხედა. ასეთივე მიდგომაა საჭირო კონფლიქტების მოგვარებაშიც. ცოტა რომანტიკული დამოკიდებულებაც საჭიროა. დამერწმუნეთ, რომ ასეთ შემთხვევაში გამოსავალი არსებობს. ჩვენ შეგვიძლია, რუსეთს ოსები და აფხაზები წავართვათ. შეგვიძლია, ხელიდან გამოვგლიჯოთ, მაგრამ ამ საქმეს სულაც არ წაადგება ისეთი განცხადებები, როგორიც პრეზიდენტმა სტუდენტებთან შეხვედრისას გააკეთა - აფხაზეთი ჩემიაო და ა.შ. მერე კი თქვა, ჩვენიაო, მაგრამ სამწუხაროდ, მას აქ აფხაზები არ უგულისხმია.

**- აფხაზეთში თუ არის ხალხი, ვინც ახლებური მიდგომისთვის მზადაა?**

- აფხაზეთში არიან ადამიანები, ვინც მზადაა ასეთი მიდგომისთვის და იმისთვის, რომ აფხაზეთი საერთო საქართველოში მოიაზრონ.

**- როგორ შეაფასებთ მოსკოვში აუღიარებელი ტერიტორიების წარმომადგენელთა კონფერენციას?**

- ეს არის მოსკოვის მიერ დადგმული სცენარი. მოსკოვი მთელს მსოფლიოს უმტკიცებს, რომ ამ აუღიარებელ რეგიონებში ბატონ-პატრონი ის არის და რომ არა ის, უმართავი პროცესები განვითარდებოდა. მოსკოვს სურს საკუთარი წონის გაზრდა მსოფლიო საზოგადოებრიობაში. ეს იყო ლიდერობის დემონსტრირება ევროკავშირისა და აშშ-ს წინაშე და იმის ჩვენება, თითქოს პოსტსაბჭოთა სივრცეში სამშვიდობო მისიის შესრულება მხოლოდ რუსეთს შეუძლია.

**- რამდენად შესაძლებელია კონფლიქტურ მხარესთან პირდაპირი გასვლა, თუკი ისინი ამ კონტაქტზე არ გამოდიან?**

- მე ვერ ვიტყვი, რომ ისინი კონტაქტზე არ გამოდიან. ვიცი, რომ სურთ გამოსვლა, და რომ სამშვიდობო მოლაპარაკებების რესურსები ჯერ კიდევ არის.

**- რკინიგზაზე რა ხდება?**

- კარგი არაფერი. შეთანხმებისამებრ, ქართულ, აფხაზურ და რუსულ მხარეს ერთობლივი მონიტორინგი უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ შეთანხმება არ შედგა. ქართულმა მხარემ ისეთი რკინიგზელები წარადგინა, რომლებიც აფხაზეთის ლეგიტიმურ სტრუქტურებში გაფორმებულები არიან. ამ სტრუქტურებს კი აფხაზური მხარე არ სცნობს და მის წარმომადგენლებთან საუბარი არ სურს. რა თქმა უნდა, აფხაზების მხრიდან ასეთი საქციელი მიუღებელი აკვიატებული აზრია, მაგრამ უკეთესად არც ქართული მხარე იქცევა. საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტი კი, იმის მაგივრად, რომ ეს რკინიგზელები თავისად გაეფორმებინა, აფხაზებს პირდაპირ "ცხვირში ტენის" ლეგიტიმური სტრუქტურების წარმომადგენლებს. აფხაზები მაინცდამაინც იმას კი არ ამბობენ, ეს ადამიანები ნუ შემოვლენო, არამედ აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების სტატუსი ნუ ექნებათო. რა გახდა ამ სტატუსის შეცვლა? სააკაშვილი თავის დროზე კარგად მოიქცა, როცა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარეს ირაკლი ალასანიას პირადი წარმომადგენლის სტატუსი მიანიჭა და აფხაზებთან მოლაპარაკებაც შედგა. რატომ არ ბაძავენ პრეზიდენტს სხვა ჩინოვნიკები, ვერ ვხვდები.

შედეგად... აფხაზებმა თქვეს, ამ რკინიგზელებს ჩვენს ტერიტორიაზე არ შემოვუშვებთო, ქართველებმაც ჯიბრით უპასუხეს, ნუ შეუშვებთო და შეთანხმება არ შედგა. რატომ ხდება ასე, ვის ჯიბრზე ვიქცევით, როცა საქვეყნო საქმე ფუჭდება?

მონიტორინგი აფხაზებმა და რუსებმა გააკეთეს, რაც ქართულმა მხარემ შეიძლება არ მიიღოს და რკინიგზის პროექტი საერთოდ ჩაიშალოს. თუ არ გვინდა რკინიგზა, გარკვევით უნდა ვთქვათ და კატა-თაგვობანას მოვეშვათ.

# ზუგდიდში აფხაზურ ენას სწავლობენ

ლელა მარგიანი

*ზუგდიდში, არასამთავრობო ორგანიზაცია "ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების" ინიციატივით, დევნილთა ნომერ პირველი სკოლის შენობაში, აფხაზური ენის შესწავლის მსურველთა სკოლა გაიხსნა.*

სამი წელია, არასამთავრობო ორგანიზაცია "ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები", მწირი დაფინანსების მიუხედავად, არსებობს და სახალხო დიპლომატიის კუთხით ბევრს მუშაობს. ორგანიზაციის წევრებმა 1300 ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახის წევრი კვლავ შეახვედრეს ერთმანეთს, "აღადგინეს" 12 დანგრეული ქართულ-აფხაზური ოჯახი, რამდენჯერმე ჩაატარეს სამედიცინო აქციები კონფლიქტის ზონაში, თბილისში ექსკურსიაზე ჰყავდათ ჩამოყვანილი ოჩამჩირელი დევნილების ენგურსგაღმა დარჩენილი ნათესავები.

რამდენიმე თვის წინათ, ორგანიზაციამ ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა შორის, რათა გაერკვია, თუ რამდენად იყვნენ მზად შერიგებისთვის ენგურსგამოღმა მაცხოვრებელი დევნილები.

სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ დევნილობაში მაცხოვრებელი, შერეული ქართულ-აფხაზური ოჯახების წევრების გარკვეული რაოდენობა სინანულს იმ ფაქტის გამოც გამოთქვამდა, რომ მათ აფხაზეთში ცხოვრებისას არ შეისწავლეს აფხაზური ენა (თუმცა, ბევრი აფხაზისთვისაც უცხო იყო მშობლიური ენა). დევნილთა ნაწილს მიაჩნია, რომ აფხაზური ენის ცოდნა მათ კიდევ უფრო დაახლოებდა მათთან ერთად ერთ მიწაზე მაცხოვრებელ ხალხთან და მაშინ შუამავალი - რუსული ენა საჭირო აღარ იქნებოდა. ალბათ, აღარც გაუცხოების პროცესი იჩენდა თავს.

**"ჩვენმა ორგანიზაციამ რამდენიმე თვის განმავლობაში ჩაატარა კომპაქტურად მაცხოვრებელი დევნილების სოციოლოგიური გამოკითხვა. "გამოკითხვის" ანალიზმა გვიჩვენა, რომ დევნილთა გარკვეულ რაოდენობას სურს აფხაზური ენის შესწავლა. ჩვენ, რა თქმა უნდა, გამოვეხმიანეთ დევნილთა ამ სურვილს და ზუგდიდის დევნილთა ნომერ პირველ სკოლაში ჩვენი ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით გაიხსნა აფხაზური ენის შესწავლის მსურველთა სკოლა. ჯერჯერობით, აფხაზური ენის შესწავლის სურვილი გამოთქვა ზუგდიდში მაცხოვრებელმა ოთხმოცდაათმა პიროვნებამ. მათი უმეტესობა აფხაზეთიდან დევნილი შერეული ოჯახის წევრია, თუმცა ადგილობრივი მაცხოვრებლებიც არიან. ათმა ზუგდიდელმაც გადაწყვიტა საკმაოდ რთული აფხაზური ენის შესწავლა,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში არასამთავრობო ორგანიზაციის - "ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები" - ხელმძღვანელმა და აფხაზური ენის შემსწავლელთა სკოლის დაარსების ინიციატორმა ბატონმა რეზო ბენდელიანმა.

ბატონი რეზო იმედოვნებს, რომ აფხაზეთიდან დევნილთა მიერ აფხაზური ენის შესწავლა ხელს შეუწყობს აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების დაახლოებასა და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას.

ორგანიზაციის ხელმძღვანელის ინფორმაციით, აფხაზური ენის შესწავლის სკოლამ აფხაზური ანბანი სოხუმიდან მიიღო, ხოლო ნაწილი აფხაზური წიგნებისა მათ "ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტმა" უსახსოვრა.

**"აფხაზური ენის შესწავლის მსურველებს აფხაზურ ენას ოჩამჩირელი ქალბატონი, აფხაზური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი ქალბატონი ალა კვეკვესკირი შეასწავლის. ჩვენ მასთან ერთთვიანი ხელშეკრულება უკვე გავაფორმეთ და იგი პირველი ოქტომბრიდან შეუდგება საქმიანობას. ერთი თვის განმავლობაში, ქალბატონ ალას ხელფასს ჩვენი ორგანიზაცია გადაუხდის. ამასობაში კი, იმედი გვაქვს, სპონსორები გამოჩნდებიან და ეს ძალიან კეთილშობილური საქმე არ შეჩერდება. ჩვენ დახმარების აღმოჩენის თხოვნით უკვე მივმართეთ ბატონებს გოგა ხაინდრავასა და ირაკლი ალასანიას და იმედი გვაქვს, ისინი ჩვენი ორაგნიზაციის თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებენ,"** - განაცხადა ბატონმა რეზომ.

არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელებს დიდი სურვილი აქვთ, აფხაზური ენის შემსწავლელ სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბდეს კომპიუტერული ცენტრი, რათა შერეული ოჯახების ენგურს გაღმა-გამოღმა დარჩენილ წევრებს, მით უფრო, მათ, ვინც გარკვეულ მიზეზთა გამო აფხაზეთში ჩასვლას ვერ ახერხებს, საშუალება ჰქონდეთ, თავიანთ ნათესავებს ინტერნეტის საშუალებით ესაუბრონ.

საუბრის დასასრულს ბატონმა რეზომ გულისტკივილით აღნიშნა ორი რამ: პირველი ის, რომ რატომღაც (მისთვის გაუგებარი მიზეზების გამო), დონორი საერთაშორისო ორგანიზაციები ისეთ პროექტებს არ აფინანსებენ, რომლებიც რეალურად ხელს შეუწყობს ორი გახლეჩილი ხალხის - აფხაზებისა და ქართველების შერიგებას (სამაგალითოდ მათ მიერ განხორციელებული ბოლო პროექტის დასახელებაც საკმარისია, როდესაც ჯერჯერობით ვერ მოხერხდა უცხოელი დონორის მოძიება აფხაზური ენის შემსწავლელი სკოლისთვის). მეორე - აფხაზური საზოგადოების ერთ-ერთი წარმომადგენლის პასუხი ინფორმაციაზე, რომ ზუგდიდში აფხაზურ ენას შეისწავლიან: ძალიან კარგი, თუ აფხაზურს შეისწავლით. რაც უფრო მეტი ენა გეცოდინებათ, მით უკეთესი იქნება თქვენთვისო.

ოფიციალურ შეხვედრაზე გახმაურებული ასეთი პასუხის მიუხედავად, სოხუმელ რეზო ბენდელიანს, რომელიც აფხაზ ხალხს ძალიან კარგად იცნობს, დღემდე ბევრი მეგობარი ჰყავს აფხაზეთში, ისეთებიც, ვინც ომით დაშორებულნი თავად შეარიგა. და აფხაზ სიძეს სჯერა, რომ აფხაზეთიდან დევნილი ქართული მოსახლეობის მიერ აფხაზური ენის შესწავლა ქართველი და აფხაზი ხალხების კვლავ დაახლოებას და მშვიდობიან შერიგებას ხელს შეუწყობს.

გადარჩენილი ფოტოები

## მენატრები!



სოხუმი, 1978 წელი. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები. ფოტო მოგვაწოდა მელიტონ ძიძავამ (მარჯვნიდან მეოთხე).

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს და საიტზე - www.yourabkhazia.ge; www.forum.yourabkhazia.ge

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# სუომი - ათასობით ტბის ქვეყანა

პირველი გვერდიდან

ფინეთი ბევრი რამით ჰგავს საქართველოს - საქართველოსავით ფინეთიც რუსეთის მეზობელია და იმპერიის შემადგენლობაშიც შედიოდა. ამ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა, თითქმის, იმდენივეა, რაც საქართველოსი; ტერიტორიით საქართველოზე გაცილებით დიდია - თუ რუსეთს არ ჩავთვლით, ფართობის მიხედვით, მეხუთე ადგილზეა ევროპაში. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ქვეყნის ტერიტორიის მესამედზე მეტი პოლარული წრის მიღმა მდებარეობს; ჩვენსავით, არც ბუნებრივი რესურსების სიჭარბით გამოირჩევა; საქართველოს კლიმატური პირობები კი ფინელებს, ალბათ, სამოთხედ მოეჩვენებათ. ამის მიუხედავად, ფინეთი დღეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და აყვავებული სახელმწიფოა ევროპაში. თავად ფინელები თავიანთ წარმატებას ორ ფაქტორს მიაწერენ: **პატიოსნებასა და პატრიოტიზმს**.

დამოუკიდებელი ფინეთის ისტორია 1917 წლის 6 დეკემბრიდან იწყება. ამ დღეს ფინეთის დიდი საჰერცოგოს ავტონომიის საკანონმდებლო ორგანომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საგულისხმოა, რომ მანამდე ფინეთს დამოუკიდებელი სახელმწიფო არასოდეს ჰქონია. მე-12 საუკუნიდან 1809 წლამდე იგი შვედეთის სამეფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა. თითქმის, შვიდასწლიანი შვედური მემკვიდრეობა ფინეთში დღესაც მძაფრად იგრძნობა - მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ შვედური წარმომავლობის მოქალაქეები მოსახლეობის მხოლოდ ექვს პროცენტს შეადგენენ, შვედურსაც სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს მინიჭებული. 1809 წელს ორწლიანი ომის შემდეგ (რუსეთის ისტორიის სახელმძღვანელოებში ამ ომს რუსეთ-შვედეთის ომს უწოდებენ. თავად ფინელები კი მას ფინეთის ომის სახელით მოიხსენიებენ) ქვეყანა, დიდი საჰერცოგოს ავტონომიური სტატუსით, რუსეთის იმპერიას შეუერთდა.

ცარისტული რეჟიმის დამხობამდე ფინეთის დიდი საჰერცოგო ფართო ავტონომიური უფლებებით სარგებლობდა. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ფინურ სახელმწიფოებრიობას სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი. 1917 წელს კი ფინეთმა სუვერენიტეტი გამოაცხადა. მმართველობის ფორმა თავდაპირველად, სკანდინავიის სხვა ქვეყნების მსგავსად, კონსტიტუციური მონარქია უნდა ყოფილიყო (მხარდაჭერის სანაცვლოდ, ფინეთს გერმანელი პრინცი უნდა აეყვანა ტახტზე), თუმცა მოგვიანებით გადაწყდა, რომ ფინეთი სკანდინავიის ერთადერთი რესპუბლიკა გამხდარიყო.

ფინელები განსაკუთრებით ამაყობენ თავიანთი ისტორიით, რომელშიც საბჭოთა კავშირთან ომს გამორჩეული ადგილი უკავია. 1939-40 წწ. ომი, მართალია, ფინელთა დამარცხებით დასრულდა, მაგრამ მცირერიცხოვანმა ხალხმა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლა და საკუთარი დამოუკიდებლობა ისე დაიცვა.

1939 წელს საბჭოთა კავშირმა მეზობელ ფინეთთან ომი დაიწყო. მაშინ ფინელებმა მსოფლიოს მამაცობისა და პატრიოტიზმის საოცარი მაგალითი უჩვენეს. წითელმა არმიამ ძალიან დიდი დანაკარგი იწვნია: ბრძოლის ველზე 200 000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა. არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმად, სტალინს უთქვამს: "ამ ხალხმა (ფინელებმა) დაიმსახურა დამოუკიდებლობა"! მართალია, ფინეთმა საკუთარი ტერიტორიის მცირე ნაწილი დათმო, მაგრამ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა და ყველას დაუმტკიცა, რომ მცირე, მაგრამ მამაც და გაერთიანებულ ერს ნებისმიერი წინააღმდეგობის დაძლევა შეუძლია.

ფინეთის საერთაშორისო სტატუსი არ შეცვლილა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების დროსაც. თუმცა, ცივი ომის პერიოდში, განსაკუთრებით, 1950-1980-იან წლებში იგი საბჭოთა კავშირის სერიოზული გავლენის ქვეშ მოექცა. ფინეთი რჩებოდა დასავლეთევროპული ტიპის დემოკრატიულ სახელმწიფოდ, მაგრამ იძულებული იყო, საგარეო ასპარეზზე მოსკოვის კარნახით ემოქმედა. ეს პერიოდი საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში "ფინლანდიზაციის ეპოქად" არის ცნობილი. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირთან მომგებიანმა სავაჭრო ურთიერთობებმა, უდავოდ, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ფინეთის, როგორც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის ჩამოყალიბებაში.

1995 წელს ფინეთი ევროკავშირის წევრი გახდა. მართალია, ეს ქვეყანა არც ერთ სამხედრო ალიანსში არ გაწევრიანებულა, მაგრამ ითვლება, რომ ამ დღიდან იგი ნეიტრალური სახელმწიფო აღარ არის.

ფინეთის ეკონომიკამ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სერიოზული ცვლილება განიცადა. საბჭოთა კავშირის დაშლამ უდიდესი დარტყმა მიაყენა ფინეთს, რომლისთვისაც მეზობელი უზარმაზარი ქვეყანა უმნიშვნელოვანეს ბაზარს წარმოადგენდა. ფინელები დიდი ძალისხმევის ფასად გაუმკლავდნენ ეკონომიკურ კრიზისს და დღეისათვის ფინეთის ეკონომიკა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კონკურენტუნარიანად არის მიჩნეული. ამგვარი ტრანსფორმაციის მიზეზი ისაა, რომ ქვეყანამ ორიენტაცია მაღალტექნოლოგიურ მრეწველობაზე, მეცნიერული კვლევისა და განვითარების პროგრამებზე აიღო. გასული საუკუნის ბოლოს ფინეთი ტელეკომუნიკაციების სფეროში მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერი გახდა. დღესაც კომპანია "ნოკია"-ს მიერ წარმოებული მობილური ტელეფონები ყველაზე პოპულარულია მსოფლიოში (მათ შორის, საქართველოში).

გასული საუკუნის დასასრულს ვაჭრობასთან ერთად ელექტრონიკა და ტელეკომუნიკაციები ფინური ეკონომიკის ლოკომოტივი გახდა. სხვათა შორის, ტელეკომუნიკაციების შვედურ-ფინურ კომპანია "ტელიასონერა"-ს კავკასიაშიც სერიოზულ პოზიციები აქვს. იგი საქართველოში მოქმედი ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორ "ჯეოსელისა" და აზერბაიჯანში მოქმედი ოპერატორ "აზერსელის" ერთ-ერთი ძირითადი აქციონერია.

თითქოს, ფინეთის ასეთ წარმატებას წინაპირობა არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ორი ათეული წლით ადრე გატარებულმა განათლების რეფორმამ სერიოზული საფუძველი შეუქმნა მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას. ფინეთის განათლების სისტემა ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილადაა მიჩნეული. სკანდინავიის ამ პატარა ქვეყანაში ყველას შეუძლია უფასოდ ისწავლოს; მეტიც, სახელმწიფო სწავლის მსურველებს საკმაო მაღალ სტიპენდიას აძლევს და სავალდებულო საშუალო განათლების მისაღებად აუცილებელ სახელმძღვანელოებსაც უფასოდ ურიგებს. ფინეთში სიამაყით აცხადებენ, რომ მათი სკოლის მოსწავლეები ყველაზე ძლიერები არიან მათემატიკაში.

დახვეწილი განათლების სისტემის გარდა, ფინეთი სოციალური პროგრამების მასშტაბურობითაც გამოირჩევა (სოციალური დახმარების მაჩვენებელი სკანდინავიის ყველა ქვეყანაში მაღალ დონეზეა). ფინეთში უფასოა ყველა სახის სამედიცინო მომსახურებაც. საერთოდ, სოციალურ პროგრამებზე სახელმწიფო ბიუჯეტის მეოთხედი და ადგილობრივი ბიუჯეტების 40 პროცენტზე მეტი იხარჯება.

ფინელები ამაყობენ ბოლო წლების მანძილზე მიღწეული წარმატებებით - ქვეყანამ, პრაქტიკულად, ხელახლა დაიმკვიდრა თავისი ადგილი მსოფლიოში. თუმცა, როდესაც ქვეყნის სტუმრები აღნიშნავენ, რომ ძველ ევროპელებს ბევრი რამ აქვთ სასწავლი ფინელებისგან, ეს უკანასკნელნი შექებასაც თავმდაბლობით ხვდებიან.

დაბოლოს, ყველაზე თვალსაჩინო, რაც ფინეთის მთავარ თავისებურებას წარმოადგენს, მისი მოქალაქეების დიდი სურვილია, ქვეყანაში შემდგომი ცვლილებები განახორციელონ; დღეისათვის ფინელების ყურადღება იქეთკენაა მიმართული, თუ რა სახის რეფორმები უნდა დაისახოს ქვეყანამ შემდგომი 30 წლის მანძილზე.

# პრეზიდენტის ხშირი ჟესტიკულაცია და მოზომილი ვერბალური შეფასებები

პირველი გვერდიდან

თუმცა, ჩეჩნეთის გამო გაღიზიანება სოციალურ შეღავათებთან დაკავშირებით გამომჟღავნებულ გაღიზიანებასთან სახსენებელიც არაა.

**"ახლა თავს შევიკავებ შეუფერებელი გამოთქმებისაგან, რადგან ამის უფლება მაინც არ მაქვს"**, - მიუგო ვლადიმირ პუტინმა შეღავათების შესახებ დასმულ კითხვაზე.

რაც შეეხება 2008 წელს მისი საპრეზიდენტო უფლებამოსილების მეორე ვადის ამოწურვასა და სამომავლო გეგმებს, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის პრეზიდენტის პასუხი გადაჭრით უარს არ მოიცავდა.

**"ჩემს უცვლელ ამოცანად კრემლში გამუდმებით ჯდომას არ მივიჩნევ... ჩემი მოვალეობა უფრო ხალხისათვის იმგვარი პირობების შექმნა მგონია, რაც ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივას უზრუნველყოფს. რაც შეეხება უშუალოდ თქვენს კითხვას, ვაპირებ თუ არა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას და მესამე ვადით კენჭისყრას, როგორც სამხედროები იტყვიან ხოლმე - წესდებას დავემორჩილები"**, - განაცხადა ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალი რეიტინგის მქონე რუსეთის პრეზიდენტმა.

ორი სახელმწიფო არხის წამყვანების დახმარებით 2 საათისა და 50 წუთის განმავლობაში მიმდინარე პირდაპირი ეთერით, რომელში მონაწილეობის მიღება ქვეყნის მასშტაბით 12 ქალაქის მცხოვრებლებს შეეძლოთ, თუ რუსულ საინფორმაციო სააგენტოებს დავეყრდნობით, მოსახლეობა კმაყოფილი დარჩა. თუმცა, როგორც "ეხო მოსკვი" აღნიშნავს, ეს იყო კარგად ორგანიზებული პირდაპირი ეთერი, სადაც არც ერთი კითხვა არ დასმულა ისეთი, რაც პრეზიდენტს დისკომფორტს შეუქმნიდა, რადგან სპეცსამსახურებმა ამაზე თავიდანვე იზრუნეს და საჭირო თადარიგიც დაიჭირეს.

# ერაყში ნომერ მეორე ტერორისტი მოკლეს

*ერაყის ტერიტორიაზე რამდენიმე კვირის განმავლობაში ტერორისტული ორგანიზაცია "ალ-ქაიდა"-ს წინააღმდეგ წარმოებულმა კამპანიამ შედეგი გამოიღო. პენტაგონის წარმომადგენელთა თქმით, 17 სექტემბერს მსოფლიოს ნომერ მეორე ტერორისტად აღიარებული აბუ მუსაბ ალ ზარქავის მოადგილე აბდულა აბუ აზამი გაანადგურეს. აშშ-სა და ერაყის სამხედრო ძალების ერთობლივი მუშაობის შედეგად დაკავებულია კიდევ რამდენიმე ტერორისტი.*

ნანა ნასყიდაშვილი

პენტაგონის წარმომადგენელთა თქმით, 17 სექტემბერს "ალ-ქაიდა"-ს ტერორისტული ქსელის ერთ-ერთი ლიდერის, მსოფლიოს ნომერ მეორე ტერორისტად აღიარებული აბუ მუსაბ აზ-ზარქავის თანაშემწის აბუ აზამის ლიკვიდაცია განხორციელდა. ოფიციალურ პირთა განცხადებით, ექსტრემისტი ქალაქ ჰადიშის დასავლეთ ნაწილში მდებარე ტერორისტთა კუთვნილ საცხოვრებელ სახლში მოკლეს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩატარებული რეიდების შედეგად კიდევ რამდენიმე ტერორისტის გამოვლენა და დაკავება მოხერხდა.

ბოლოდროინდელი წარმატებები აშშ-სა და ერაყის წარმომადგენლებს თვით ზარქავის დაკავების იმედს აძლევს. წარმოშობით იორდანიელი აბუ მუსაბ აზ-ზარქავი 2004 წლის ოქტომბერში უსამა ბინ ლადენთან ერთგულებისა და მოკავშირეობის პირობის დადების შემდეგ ტერორისტული ქსელის საქმიანობაში აქტიურად ჩაება. ზარქავის აშშ-სა და ერაყის სამხედრო ძალებზე, ასევე, მშვიდობიან მოქალაქეებზე განხორციელებულ თავდასხმებსა და ერაყში მძევლებად აყვანილი უცხოელების მკვლელობაში ედება ბრალი.

მოკავშირეთა ძალისხმევის მიუხედავად, ერაყში მშვიდობის დამყარება და ტერორისტთა თავდასხმებისგან მოსახლეობის დაცვა ვერ ხერხდება. გუშინ ერაყში, ბაღდადის სამხრეთით მდებარე ქალაქ ისქანდარიის მახლობლად მდებარე სკოლაში ორშაბათს ვანდალურად მოკლული ხუთი მასწავლებლისა და სკოლის მძღოლის დაკრძალვა გაიმართა. სამართალდამცველთა თქმით, პოლიციელთა ფორმაში გადაცმული უცნობთა ჯგუფი სკოლის ტერიტორიაზე ორი ავტომანქანით მივიდა. მათ შენობიდან დაწყებითი კლასების პედაგოგები და სკოლის მძღოლი გამოიყვანეს, შემდეგ კი ეზოში დახვრიტეს. საგულისხმოა, რომ ექვსივე მოკლული შიიტია. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს (იგი სუნიტია), უცნობებმა არაფერი ავნეს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, სკოლის შიიტ თანამშრომელთა მკვლელობა მოსწავლეთა თვალწინ მოხდა. თუმცა, სამართალდამცავები ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

ერაყში სუნიტი ექსტრემისტები უცხო ქვეყნის საჯარისო ნაწილებსა და პოლიციელებზე ხშირად ახორციელებენ თავდასხმებს, თუმცა ტერორისტთა სამიზნედ სკოლის თანამშრომლები აღნიშნულ შემთხვევამდე არასდროს ქცეულან.

HEINRICH BÖLL STIFTUNG

## ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის უახლესი ისტორიის, სოციოლოგიისა და ურბანისტიკის სფეროებში

ახალგაზრდა ისტორიკოსების, სოციოლოგების, იურისტების, პოლიტოლოგების, არქიტექტორებისა და ეკოლოგებისათვის

**უახლესი ისტორია (1900-2000 წწ.):**

ყოფის ისტორია

■ სახელმწიფო და რელიგია XX საუკუნეში

ეთნიკურობა და საზოგადოება

■ ქალაქის სოციალური ანთროპოლოგია

პოლიტიკური რეპრესიები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში

■ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობის ისტორია (*1920-1950-იან წწ*. ან 1953 წ. შემდეგ)

**სოციოლოგია:**

უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები

■ ხელისუფლების არაფორმალური სტრუქტურები

რელიგიის როლი თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოებაში

■ "ჩვენიანი" და "უცხო" საზოგადოებაში

გენდერული როლების ტრანსფორმაცია თანამედროვე საზოგადოებაში

■ სოციალურ-ტერიტორიული ერთობების განვითარება

**მდგრადი ქალაქგანვითარება (ურბანისტიკა):**

საშუალო და მცირე ქალაქების პრობლემები და პოტენციალი

■ არქიტექტურა და ხელისუფლება

ქალაქის ტოპოგრაფიის დინამიკა

■ ქალაქის სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურა

ქალაქის მდგრადი განვითარება (სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები)

■ ქალაქის მართვის თანამედროვე მეთოდები

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან. ფონდი ხელს უწყობს პროექტებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სფეროში, განსაკუთრებით კი გენდერული პოლიტიკისა და ქალთა უფლებების, აგრეთვე ეკოლოგიის სფეროში.**

**რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი**

სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

პროგრამის მიზანია:

ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;

■ ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ქსელის შექმნას.

**კონკურსის პირობები**

რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1970-1983 წლებში დაბადებულებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგად ცოდნა. ყურადღება მიექცევა მეთოდოლოგიურად ინოვაციურ ნაშრომებს, რომლებიც ითვალისწინებენ კვლევის ხარისხობრივ მეთოდებსა და კომპარატივისტიკას.

**ხანგრძლივობა და მოცულობა**

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით - 1.01.2006 - 31.12.2006. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს თვიურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია თანამდევი ფონდის მიერ ორგანიზებული პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა. შ. სახით.

**ზოგადი მითითებები**

■ სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.

კონკურსანტისთვის არ არის სავალდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.

■ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ხელმძღვანელობს სქესთა თანასწორობის პრინციპით.

საკონკურსო ანკეტები შეგიძლიათ იხილოთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე: www.boell.ge

■ საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. **25 ოქტომბერი, 18:00** სთ.

**საჭირო საბუთები**

1. თავფურცელი შემდეგი ცალკეული მონაცემებით: სახელი და გვარი; დაბადების წელი; ქვეყანა; სფერო (ისტორია/ სოციოლოგია/ ურბანისტიკა); საკონკურსო თემა; ნაშრომის სათაური
2. განაცხადის ანკეტა (იხ. www.boell.ge)
3. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV)
4. ესსე (3-5 გვერდი მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიულ და პირად მოტივაციას (რატომ მაინტერესებს ეს თემა/ რა ვიცი თემის შესახებ/ რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას/ წლიური სამუშაო გეგმა)
5. 2 რეკომენდაცია მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან, რომელშიც გიმუშავიათ (რა კონკრეტულ გამოცდილებას ან სამეცნიერო ნაშრომს ეფუძნება რეკომენდატორი)
6. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებით
7. (თუკი არსებობს) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე

**ზემოთაღნიშნული საბუთები (სამეცნიერო ნაშრომების ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნეს რუსულ ენაზე. განაცხადის არასრული კომპლექტი არ განიხილება. სავალდებულოა სისტემური შრიფტების გამოყენება.**

**საკონკურსო განაცხადი გამოაგზავნეთ ან ჩააბარეთ შემდეგ მისამართზე:**

**ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**

**რადიანის ქ. 5, 0179 თბილისი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ილია ჭავჭავაძე

## შესწორება

გაზეთ "24 საათის" 19 სექტემბრის ნომერში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ მოწვევაში **"სასკოლო ბიბლიოთეკებისთვის მასალების მოსაწოდებლად"** უნდა შევიდეს ორი დამატება.

1. პირველი აბზაცის პირველ წინადადებაში ჩაემატოს **"თორმეტ წლამდე ასაკის მოსწავლეთათვის"** და წაიკითხოს შემდეგნაირად: საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის გამომცემლებს და სხვა მომწოდებლებს საქართველოს სასკოლო ბიბლიოთეკებისთვის თორმეტ წლამდე ასაკის მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე დამხმარე საკითხავი მასალისა და საგანმანათლებლო თამაშების ნიმუშების მოწოდებისათვის მონაწილეობის მისაღებად.

2. დანართი N1, დამხმარე საკითხავი მასალისა და საგანმანათლებლო თამაშების მოწოდების წესები - პირველი აბზაცის შემდეგ ჩაემატოს მეორე პუნქტი:

აღნიშნული საკითხავი მასალისა და საგანმანათლებლო თამაშების მოწოდება უნდა დასრულდეს მომწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი თვის ვადაში.

## I.G.E.P.P. - ITALY GEORGIA ECONOMIC PARTNERSHIP PROGRAMME

### პროექტი ხორციელდება იტალიის სამრეწველო საქმიანობის სამინისტროს თანადაფინანსებით

## ქართულ და იტალიურ კომპანიებს შორის ბიზნეს თანამშრომლობის ხელშეწყობა

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია და ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში იტალიის სამრეწველო საქმიანობის სამინისტროსა, ექსენ ს.პ.ა. და კაზერტას პროვინციის მრეწველთა კავშირის მხარდაჭერით ახორციელებენ იტალია-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამას (ი.გ.ე.პ.პ.).

პროგრამის მიზანია ორ ქვეყანას შორის ბიზნეს ურთიერთობების ხელშეწყობა საქართველოში იტალიური ინვესტიციების მოზიდვისა და ორმხრივი სავაჭრო თანამშრომლობის განვითარების გზით. პროგრამის ფარგლებში, ქართულ კომპანიებს ეძლევათ საშუალება წარმოადგინონ საკუთარი ბიზნეს წინადადებები იტალიელი პარტნიორების მოძიების მიზნით.

ბიზნეს წინადადებების წარსადგენად საჭიროა სათანადო ფორმის შევსება, რომლის მიღება შეიძლება პროექტის ვებ გვერდზე www.igepp.com ან ოფისში შემდეგ მისამართზე:

გერგეთის ქ. 3, საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია.

ოფისი მუშაობს 10-დან 18 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

შევსებული ფორმები მიიღება 2005 წლის 1 ოქტომბრამდე.

EXEN

Unione degli Industriali della Provincia di Caserta

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია Federation of Georgian Businessmen

AMCHAM

## ს.ს.ი.პ. "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს კონკურსს საინფორმაციო პროგრამის წამყვანის თანამდებობაზე

### მოთხოვნები

- ასაკი - 25-დან 40 წლამდე;

სასიამოვნო გარეგნობა;

- სასიამოვნო ხმის ტემბრი;

ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;

- უცხო ენის ცოდნა (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);

გამართული მეტყველება;

- უმაღლესი განათლება;

ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);

- ორგანიზებულობა;

კომუნიკაბელობა;

- გუნდური მუშაობის უნარი.

მსურველებმა ს.ს.ი.პ. "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს მოქალაქეთა მისაღებში უნდა შეავსონ ანკეტები და დაურთონ 3 ფოტო (9X13) - პორტრეტი, სამ სხვადასხვა რაკურსში. ანკეტების მიღება იწარმოებს 21 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე.

**მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს თბილისში განლაგებული შენობა - ნაგებობების ფასადების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: სარემონტო ფართი - 150.000მ², კედლის გაწმენდა (გაფხეკვა), კედლის დამუშავება ფასადის ფითხით, გრუნტით, კედლის გალესვა ქვიშა - ცემენტის ხსნარით, ფასადის შეღებვა 2 პირი ფასადის საღებავით.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 1 ნოემბერი.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 17 ოქტომბრის 12 საათიდან 18 ოქტომბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ:

| N | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულებული სამუშაოს ტიპი | დასრულების თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

- ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ:

| N | მოწყობილობა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ა.შ. | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი ,იჯარით აღებული (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ:

| თანამდებობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება(წელი) | ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება, წელი) |
|---|---|---|---|
| | | | |

**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 19 ოქტომბრის 12 საათიდან 20 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**7.** ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

**8.** ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

**9.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიგა ნემსიწვერიძე-საკონტაქტო ტელეფონი 99-05-39 და ნუგზარ კალაძე-საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ღია (ორეტაპიანი) ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქობულეთის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია (ორეტაპიან) ტენდერს ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირის საკრებულოს წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისათვის საპროექტო მომსახურების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდი მომსახურების აღწერილობა:

ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირის საკრებულოს წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისათვის საპროექტო მომსახურება ითვალისწინებს წყალმომარაგების სისტემის სათავე ნაგებობის მშენებლობის, ცენტრალური მაგისტრალური ხაზის მშენებლობის (10 კმ), არსებული რეზერვუარების რეაბილიტაციის (მოცულობა 500 მ 3, 250 მ 3, 250 მ 3), შიგა წყალმომარაგების ქსელის მშენებლობის პროექტირებას (17 კმ).

3. მიწოდების სასურველი ვადაა 2 (ორი) თვე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 7 ოქტომბრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141 (რაიონის გამგეობის შენობა), გამგეობის ეკონომიკურ განყოფილებაში.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) პრეტენდენტის სრული დასახელება, რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ე) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების შესახებ.

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების შესახებ.

6. პირველადი სატენდერო წინადადება როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის, უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პრეტენდენტის სრული დასახელება, რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ინფორმაცია არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

გ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ;

დ) დასკვნები ადრე შესრულებული სამუშაოების ხარისხის შესახებ.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. შერჩეულ პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2005 წლის 10 ოქტომბრიდან 2005 წლის 15 ოქტომბრამდე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ბანკის კოდი 220101107, ანგარიში 502121272) გადახდის შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ ტელეფონებზე: (88236) 6-72-33, 6-72-09.

*სატენდერო კომისიის თავმჯდომარე მ. სუქნიშვილი*

# აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

"უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის საფუძველზე, წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების წესს.

I. აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

ა) აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება ღია კონკურსის წესით. გამჭვირვალობისა და კონკურენციის პრინციპით.

ბ) კონკურსის პირობები და ჩატარების თარიღი ქვეყნდება საბუთების მიღებამდე ერთი თვით და კონკურსის ჩატარებამდე ორი თვით ადრე.

გ) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის მონაწილე რექტორის სახელზე წერს განცხადებას, რომელსაც თან ერთვის უმაღლესი განათლების დიპლომის, სამეცნიერო აკადემიური ხარისხის, წოდების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, კადრების აღრიცხვის ფურცელი, ფოტოსურათით (1). კურუკულუმი.

დ) კონკურსის ჩასატარებლად რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლების წარდგინებით იქმნება საარჩევნო კომისია 9 კაცის შემადგენლობით.

II. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას:

ა) პროფესორი მონაწილეობს სწავლების სამივე საფეხურის (ბაკალავრის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის) სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის პროცესში, ხელმძღვანელობს მოდულს, სპეციალობის ჯგუფს, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორებისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

ბ) დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი და მასთან გათანაბრებული მეცნიერების კანდიდატი ("უმაღლესი განათლების შესახებ" კანონი, მუხლი 89, პუნქტი "9"), რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ ათი წლის სტაჟი.

გ) სამეცნიერო ხარისხის არმქონე სპეციალისტი, რომელსაც აქვს პროფესორის ან დოცენტის წოდება, სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ ათი წლის სტაჟი, ასწავლის სპეციალობას, აქვს შემოქმედებითი მიღწევები, გამოშვებული ჰყავს ჯგუფი, მის მიერ აღზრდილთა შორის არიან გარკვეული შემოქმედებითი წარმატების მქონე სპეციალისტები.

დ) პროფესორის თანამდებობის დაკავება ხდება სამი წლის ვადით.

III. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს

ძირითადად სასწავლო პროცესში, ხელმძღვანელობს ასისტენტ-პროფესორებისა და სტუდენტების სამცენიერო-კვლევით მუშაობას.

IV. ასოცირებულ პროფესორად -

ა) ძლება არჩეულ იქნას დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ ხუთი წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სტაჟი, გამოქვეყნებული შრომები. საშემსრულებლო დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს არანაკლებ ხუთი წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟი, ჰყავს ერთი გამოშვებული ჯგუფი მაინც და აქვს გარკვეული შემოქმედებითი წარმატებები.

ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავება ხდება სამი წლის ვადით.

V. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორი ან მასთან გათანაბრებული პირი ან დოცენტი

რომელსაც აქვს ხუთ წლამდე სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სტაჟი, უძღვება ლაბორატორიულ, სემინარულ ან პრაქტიკულ მეცადინეობებს.

ა) საშემსრულებლო დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს გარკვეული შემოქმედებითი მიღწევები, ასწავლის სპეციალობას, აქვს ხუთ წლამდე პედაგოგიური მუშაობის სტაჟი, ხელმძღვანელის რეკომენდაცია.

ბ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დაკავება ხდება სამი წლის ვადით.

VI. პირადი მონაცემებისა და კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული იქნება: 86 პროფესორი.

მათ შორის:

1. საშემსრულებლო ხელოვნების მიმართულებით - 42
2. ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულებით - 44

VII. არჩეული იქნება 28 ასოცირებული პროფესორი:

1. საშემსრულებლო ხელოვნების მიმართულებით - 20
2. ჰუმანიტარული მიმართულებით - 8

VIII. ასისტენტ-პროფესორი - 35

მათ შორის:

1. საშემსრულებლო ხელოვნების მიმართულებით - 30
2. ჰუმანიტარული მიმართულებით - 5

IX. აკადემიური თანამდებობის დაკავებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:

- სამეცნიერო, აკადემიური ხარისხი;
- პედაგოგიური გამოცდილება;
- გამოქვეყნებული შრომები (ბოლო ათი წლის განმავლობაში);
- წიგნი (სახელმძღვანელო, მონოგრაფია და სხვა);
- უცხოური სერთიფიკატი;
- სამეცნიერო, სამხატვრო საბჭოს წევრობა;
- სადისერტაციო საბჭოს წევრობა;
- უცხოეთის უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვა;
- კანდიდატის, დიპლომანტის, ასპირანტის, მაძიებლისა, სტაჟიორის ხელმძღვანელობა, ოპონენტობა, ექსპერტი;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელობა;
- სპექტაკლების დადგმა, როლების შესრულება, შემოქმედებითი საღამოების მოწყობა;
- ჟურნალის, წიგნის რედაქტორობა;
- ჯგუფის ხელმძღვანელობა, გამოშვება;
- პროფესიული პრემია, გრანტი, სტიპენდია;
- სახელმწიფო ჯილდო, საპატიო წოდება;
- არასამთავრობო გამოცდილება.

კონკურსში დოკუმენტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 28 ოქტომბერი (რუსთაველის 19. საკონკურსო კომისია).

კონკურსის შედეგები ცნობილი იქნება 22 ნოემბერს.

# განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი

## კრედიტი N 3702

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**, პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის ფარგლებში, იწვევს გამოცდილ ადგილობრივ საკონსულტაციო ფირმებსQგამოხატონ ინტერესი შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების განსახორციელებლად:

***საქართველოს პირველადი ჯანდაცვის განვითარების რეფორმის შესახებ საზოგადოებასთან ურთიერთობების/საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება***

**დავალების მიზანი:**

ამ დავალების ზოგადი მიზანია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის დახმარების გაწევა საზოგადოებასთან ურთიერთობების/საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებაში და პირველადი ჯანდაცვის განვითარების რეფორმის შესახებ საზოგადოებასთან ურთიერთობების (PR) წარმატებული კამპანიის დანერგვაში.

**კერძოდ, საკონსულტაციო ფირმამ დავალების ფარგლებში უნდა შეიმუშავოს:**

(1) საკომუნიკაციო სტრატეგია, სხვადასხვა საკომუნიკაციო მიმართულებებისა და მიდგომების როლის ჩათვლით;

(2) PR კამპანიის მეშვეობით მისაწოდებელი ძირითადი გზავნილები;

(3) PR კამპანიის განხორციელების გეგმა, რომელიც მოიცავს: შეფასების ხარისხობრივ და რაოდენობრივ ინდიკატორებს, თითოეული საკომუნიკაციო აქტივობისათვის ფასის ოპტიმიზაციას, მედიას კოეფიციენტებს და ა. შ.;

(4) PR კამპანიის მართვის გეგმა, რომელიც რეგულარულად განახლდება მისი განხორციელების პროცესში;

(5) რეკომენდაციები მედია მონიტორინგის შესახებ (ტელევიზია და ბეჭდვითი მედია);

(6) შედეგების შეფასების ანგარიში.

**საკონსულტაციო ფირმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

ფირმას უნდა გააჩნდეს არანაკლებ 5 წლის გამოცდილება შესაბამის სფეროში, რომელიც მოიცავს:

საკომუნიკაციო სტრატეგიის შექმნის გამოცდილებას;

- ჯანდაცვის სფეროში რაოდენობრივ და ხარისხობრივ კვლევების ჩატარების გამოცდილებას;

მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის ფუნქციონალურ შესაძლებლობას;

- ხელშეკრულების მართვის დადასტურებულ ორგანიზაციულ შესაძლებლობას.

**მკვლევარების საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

სოციოლოგიური კვლევების დარგში დოკუმენტალურად დადსტურებული გამოცდილება;

- ჯანდაცვის სფეროში რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების ჩატარების გამოცდილება;

განათლება სოციალური მეცნიერების დარგში საზოგადოებასთან ურთიერთობების გამოცდილებით;

- სასურველია საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ცოდნა.

**სამუშაოების ხანგრძლივობაა 4 თვე.**

საკონსულტაციო ფირმა შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: "დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ", შესყიდვის მეთოდი - "შერჩევა საკონსულტაციო ფირმის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით", 1997 წლის იანვარი (შესწორება - 1997 წლის სექტემბერი და 1999 წლის იანვარი). დაინტერესებული ფირმები გამოგვეხმაურეთ წერილობით და ინტერესის გამოხატვის წერილს თან დაურთეთ:

1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე, ფირმის ფუნქციონალური შესაძლებლობების მითითებით;
2. ფირმის მიერ მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი, თითო პროექტის შესახებ შემდეგი ინფორმაციის მითითებით: ჩატარებული კვლევების სახეობები, დავალების დამკვეთის სახელი და სახელშეკრულებო ღირებულება. დამკვეთებისთვის მომზადებული დავალებების საბოლოო ანგარიშები, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციას გამოყენებულ მეთოდოლოგიის, პროცედურების, მონაცემებისა და შედეგების შესახებ;
3. წინა დამკვეთებისგან არანაკლებ 2 სარეკომენდაციო წერილი;
4. ამ დავალების შესრულების სავარაუდო სამუშაო გეგმა და მეთოდოლოგია
5. ამ დავალებისათვის დაკომპლექტებული მომუშავე ჯგუფის შემადგენლობა და მუშაობის განაწილების სქემა თოთეული წევრის მიერ განსახორციელებელი სამუშაოების აღწერით.
6. ინფორმაცია მკვლევარების კვალიფიკაციის შესახებ (კვალიფიკაციისა და შესაბამისი გამოცდილების აღწერილობა - CVs).

დაინტრესებულმა ფირმებმა ინტერესის გამოხატვის წერილები ზემოხსენელულ ინფორმაციასთან ერთად უნდა წარმოადგინონ არაუგვინეს **2005 წლის 11 ოქტომბრის 17 საათისა** შემდეგ მისამართზე:

**საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი**
**ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული,**
**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**
**ტელ/ფაქსი: +995 (32) 331934, 331839**
**ელ. ფოსტა: info@hpic.ge**

ABDİ İBRAHİM



Being the leader pharmaceutical company of Turkey, Abdi Ibrahim has committed to support healthy generations for 93 years. The company continues to expand its activities into the international markets by establishing its own organisations in different countries with high quality products that are produced in its state of art manufacturing plant.

**Now the company is in a process to start its operations in Georgia thus looking for a;**

**REGULATORY AFFAIRS SPECIALIST**

The successful candidates should have;

- University degree in medicine or pharmacy,
- At least 2 years experience in pharmaceutical product registration process,
- Excellent interpersonal communication and problem solving skills,
- Excellent command of both written and spoken English,
- Good command of MS Office Applications

**PRODUCT MANAGER**

The successful candidates should have;

- A university degree in medicine or pharmacy,
- At least 2 years experience at the same position in one of the leading pharmaceutical companies,
- Analytical thinking, critical reasoning, team working skills,
- Experience of planning and preparing marketing plans,
- Being creative, proactive and result oriented,
- A valid driver's license, willing to travel frequently,
- Excellent command of both written and spoken English,
- Good command of MS Office Applications.

**REGIONAL MANAGER**

The successful candidates should have;

- A university degree in medicine or pharmacy,
- At least 3 years sales experience in pharmaceutical sector,
- Minimum 1 year experience of managing field force, in one of the leading pharmaceutical companies,
- Leadership skills,
- A valid driver's license, willing to travel frequently,
- Excellent command of English,
- Good command of MS Office Applications,
- Ambitious, dedicated and result oriented.

Are kindly requested to send their English written CV's to: ozlem.erdemir@abdiibrahim.com.tr not later than **21 October 2005.**

www.abdiibrahim.com.tr

სსიფ — საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი — GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND — GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **თელავის რაიონის სოფ. შალაურის წყალსადენის რეაბილიტაცია**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. **შალაურის** განვითარების სათემო კავშირთან **"მარკაანი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"მარკაანი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, **თელავის რაიონი,**
სოფ. **შალაურის, გამგეობის შენობა**
საკონტაქტო პირი **ნუგზარ ძამუკაშვილი** -სათემო კავშირი **"მარკაანი"**-ს თავჯდომარე

2005 წლის 30 სექტემბრიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 2200 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, **თელავის რაიონი,**
სოფ. **შალაურის, გამგეობის შენობა**
საკონტაქტო პირი **ნუგზარ ძამუკაშვილი** -სათემო კავშირი **"მარკაანი"**-ს თავჯდომარე

2005 წლის 30 ოქტომბრის 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# მე როგორც მინდა ისე სადაა?

### მინდორაშვილი მსოფლიო ჩემპიონია კურტანიძე ვიცე-ჩემპიონი

*როდესაც ქართველ ფალავანს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ვხედავ, მით უმეტეს, თუ ეს ფალავანი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ლუკა კურტანიძეა, რაზე უნდა ვიფიქრო გარდა ერთისა? რა თქმა უნდა, მინდა, რომ ქართველმა ფინალი მოიგოს და საქართველოს ჰიმნი ააჟღეროს, მაგრამ მე როგორც მინდა ისე სადაა?*

ბიბა ბურასაშვილი

და მაინც, მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელმაც მონაწილეთა არნახული რაოდენობა შეკრიბა (98 ქვეყანა, 734 მონაწილე), ვიცე ჩემპიონობაც დიდი წარმატებაა. ეს ჩემთვის და, ალბათ, ბევრისთვისაა დიდი წარმატება, თორემ კურტანიძე რომ თავს წაგებულად თვლის, მისი ხასიათიდან გამომდინარე რთული გამოსაცნობი არაა. მისთვის წარმატებას მხოლოდ "ოქროს" ფასი აქვს და სხვა სინჯის მედალს არ ცნობს.

ერთი სიტყვით, ბუდაპეშტში მიმდინარე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ლუკა კურტანიძემ (96კგ.) მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ვერ შეინარჩუნა და იგი ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს რუს ხაჯიმურად გაცალოევს გადაულოცა. ბუდაპეშტის უმთავრეს ხალიჩაზე ქართველი ფალავნისგან ჩემპიონობას იმად ველოდი, რომ წლეულს ევროპის ჩემპიონატზე კურტანიძემ მეოთხედფინალში სწორედ გაცალოვი დაამარცხა. ძირითადი მეტოქის ჩამოშორების შემდეგ აკი, მეხუთედ დაეუფლა კიდეც კონტინენტის უძლიერესი ფალავნის წოდებას. სამწუხაროდ ასეთმა ლოგიკამ იმედები არ გაამართლა. ფაქტია, კურტანიძემ ორივე პერიოდი დაუთმო რუსს.

დღეის იქით კი კურტანიძის მსოფლიოს ჩემპიონატების სამი "ვერცხლი" კიდევ ერთით გამდიდრდა.

ახლა იმაზე, რამაც კურტანიძის ფინალამდე ყველა ეიფორიაში ჩააგდო. 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში რევაზ მინდორაშვილმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა!

მინდორაშვილს აქამდე ევროპის ჩემპიონატების სამივე ხარისხის მედალი და მსოფლიო ჩემპიონატის ერთი ბრინჯაო ჰქონდა მოპოვებული. დღეის იქით კი ქართველი ფალავანი მსოფლიო ჩემპიონთა მარაქაში გაერია და თუ 2005 წლის უმთავრეს ასპარეზობებზე ქართველ სპორტსმენთა მონაგარსაც გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ მინდორაშვილი ერთადერთია, რომელმაც წლეულს ასეთი წოდება მოიპოვა.

და ბოლოს, გუშინ ქართველთაგან 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში დავით ახალმოსულიშვილიც ასპარეზობდა, მაგრამ ვინაიდან პირველივე ორთაბრძოლა წააგო, სათქმელიც არაფერია.

ორი დღის შედეგების მიხედვით საქართველოს ნაკრების ყულაბაში სამივე ხარისხის მედალია. შეგახსენებთ, რომ წინა დღეს ოთარ თუშიშვილმა (66კგ.) მესამე ადგილი დაიკავა. დღეს ასპარეზი მძიმეწონოსნებს დაეთმობათ. საქართველოს ნაკრების ღირსებას კი ალექსანდრე მოდებაძე დაიცავს.

შემოთავაზება უსწრებს დროს!

უპროცენტო 3 წლიანი განვადება

ქალაქის ნებისმიერ უბანში

ტელ.: 23 25 36
25 30 80
25 32 16
91 25 07



ცენტრ პოინტი

CSB
კავკასიის ბიზნესის სკოლა
Caucasus School of Business

GRENOBLE ECOLE DE MANAGEMENT Graduate School of Business

დღეს საქართველოში განათლების ხარისხს უკვე აფასებენ... კიდევ უფრო დაფასებულია ხარისხიანი განათლების მქონე ადამიანი... ისეთ განათლებას კი სანატრელს სასურველად რომ გადააქცევს და მერე ქმედებაშიც გადაიტანს, ყველა ეძებს და... აუცილებლად იპოვის გრენობლის ბიზნესის უმაღლესი სკოლისა (საფრანგეთი) და კავკასიის ბიზნესის სკოლის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სახით, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაციის მოძიება 1 ოქტობმერს, 14 საათზე, ღია კარის დღეზე უშუალოდ გრენობლის ბიზნესის უმაღლესი სკოლის დეკანის ქ-ნი ჯუდი ბოვარდისაგან შეგეძლებათ. მანმადე კი სასურველია იცოდეთ რომ თუ კი თქვენ:

1. ფლობთ ინგლისურ ენას და მზად ხართ ინტენსიური აკადემიური მუშაობისათვის
2. ხართ ენერგიული, მოტივირებული და მიზანმიმართული ადამიანი
3. გაქვთ საპასუხისმგებლო თანამდებობა ან საკუთარ ბიზნესში წარმატების მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება
4. გსურთ მიიღოთ საუკთესო განათლება ბიზნესის სფეროში
5. უმოკლეს დროში მიიღოთ ორი საერთაშორიასო აკრედიტაციის მქონე მაგისტრის დიპლომი ბიზნესის ადმინისტრირებაში და ეს Yველაფერი ისე, რომ
6. არ მოსცილდეთ თქვენს ამჟამინდელ საქმიანობას - მაშინ ახალი სამაგისტრო პროგრამა ზუსტად ის არის, რასაც ეძებდით!

**შედეგი?**

1. მაღალი პოტენციალის მქონე მმართველების რეგიონალური და საერთაშორისო ბიზნესის ლიდერებად ჩამოყალიბება;
2. ერთი წლის მანძილზე თორმეტი ექვს დღიანი საგნობრივი სასწავლო მოდული;
3. ორკვირიანი რეზიდენტურა ევროპის გაერთიანების წიაღში;
4. სამენეჯერო ტექნოლოგიებისა და უნარ-ჩვევების ათვისება, რომელიც თქვენი კარიერის გრძელვადიანი პროგრესის გარანტიაა;
5. ორი დიპლომი - I. სტანდარტული მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში (MBA) გრენობლის ბიზნესის უმაღლესი სკოლისაგან და II. საერთაშორისო მაგისტრის ხარისხი მმართველთათვის (International Executive MBA) კავკასიის ბიზნესის სკოლა.

**გავაგრძელოთ?**

**www.dual.csb.ge საკონტაქტო ტელ.: (877)55.22.77**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატის, სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამის და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროგრამა "ირმის ნახტომის" დაფინანსების ფარგლებში კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ა)

| ლოტი N | | შესყიდვის ობიექტი | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | 1.1 | კომპიუტერი | 640 ც. |
| | 1.2 | უწყვეტი კვების წყარო | 640 ც. |
| 2 | | პორტატული კომპიუტერი | 16 ც. |
| 3 | 3.1 | მონაცემთა პროექტორი | 34 ც. |
| | 3.2 | პრინტერი | 2 ც. |
| | 3.3 | ასლგადამღები | 1 ც. |
| | 3.4 | სკანერი | 1 ც. |
| 4 | 4.1 | კომუტატორი | 6 ც. |
| | 4.2 | „უაიფაი-აქსეს-ფოინთი" | 6 ც. |

ბ) ტექნიკა მოწოდებული და დამონტაჟებული უნდა იყოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად დანიშნულების ადგილზე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქების სკოლებში (ინფორმაცია მიწოდების ადგილის შესახებ მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში დამატებით).

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად (1 - დედანი, 2 - ასლი), 14.10.05-დან 20.10.05-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ.№52, ოთახი №222.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია (ცნობა წარმოადგინონ საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა წარმოადგინონ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის; (ცნობა წარმოადგინონ შს სამინისტროდან).

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა; (ცნობა წარმოადგინონ სასამართლოდან რაიონის მიხედვით);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის; (ცნობა წარმოადგინონ შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფა და ანალიზის სამმართველოდან).

4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს ლიკვიდაციის გაკოტრების ან სანაციის საქმე; (ცნობა წარმოადგინონ სასამართლოდან);

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დღგ-ს რეგისტრაციის შესახებ.

დ) წესდება და დადგენილება, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (ნოტარიულად დამოწმებული).

5. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ან/და დაზღვევა. დეტალური ინფორმაცია გარანტიის ან/და დაზღვევის პირობების შესახებ ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 25.10.05-დან 31.10.05-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ. №52 ტ. 95-65-91, ოთახი №222.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: დ. ბარაბაძე, ა. გაგნიძე, მ. ბუზალაძე მისამართზე: ქ.თბილისი, დ.უზნაძის ქ. №52 ტ. 95-65-91, ოთახი №222. ტენდერის პირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და პროგრამა ირმის ნახტომის ვებგვერდებზე:

www.mes.gov.ge,www.dlf.ge

შენიშვნა: გაზეთი "24 საათის" 2005 წლის 26 სექტემბრის N213 (1073)-ში გამოქვეყნებული განცხადების ნაცვლად ქვეყნდება წინამდებარე განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.

# ადამიანი, რომელიც არავის ჰგავდა

*ზაზა ებრალიძე - დაიბადა 1956 წლის 27 სექტემბერს ქალაქ თბილისში. 62-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1974 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. 1979 წლიდან მუშაობდა გეოფიზიკის ინსტიტუტის რეგიონალური სეისმოლოგიის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1984 წლიდან დამტკიცებული იყო ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მაძიებლად. 1995 წელს გამოიცა მისი სადისერტაციო ნაშრომი მონოგრაფიის სახით. ტრაგიკულად დაიღუპა 1990 წლის 2 ოქტომბერს.*

ბიოგრაფიის ეს შაბლონური ფორმა თქვენს წარმოსახვას იქითკენ უბიძგებს, ჩვეულებრივი მეცნიერი კაცის ტიპაჟი დაგანახოთ, არადა მის უკან სულ სხვა ადამიანია.

ზაზა ებრალიძე! ურთიერთგამომრიცხავი თვისებებით ყოველთვის გამორჩეული: ინტელექტუალი - მკლავშიც მაგარი, მეცნიერი - მებრძოლი, რომანტიკოსი - თუმცა პიროვნებებს არ აიდეალებდა, უკომპრომისო - თანაც თავაზიანი...

უამრავი ადამიანის აყოლიება შეეძლო, თუმცა ამისთვის მხოლოდ ვაჟკაცობა და კეთილშობილება არ არის საკმარისი...აზარტულობაც და კიდევ რაღაც, "რაღაც", მხოლოდ ზაზასეული! ეს ხდის მას გამორჩეულს და ღირსს იმად, რომ ნებისმიერ დროში - ეპოქასა თუ წლებში ვისაუბროთ მასზე, მოვუყვეთ სხვებს, თაობებს, ერთმანეთს...

მიზანდასახული, პრინციპული, ვაჟკაცი... ერთგული - მეგობრების, ოჯახის, ქვეყნის. "თხილამურები, ფეხბურთი, ჭადრაკი, ცხენოსნობა, ლაშქრობა მხოლოდ გატაცება არ იყო, ამით ცოცხლობდა... ენერგიას ათასგვარ საქმეში ავლენდა; ალბათ, ბოლომდე - ვერც... გამუდმებით ვარჯიშობდა კრივში, კარატეში, ჰანტელებით. იარაღი უყვარდა... წარმოუდგენელი საქმეების დატრიალება შეეძლო, ამავე დროს ყოველთვის სამართლიანი იყო! საყვარელი ლიტერატურული გმირი დარტანიანი იყო და კიდეც გავდა",- ამბობს ზაზა თვარაძე. იშვიათია, ერთდროულად იყოს თავმოყრილი ამდენი რამ ერთ ადამიანში, ამიტომაც ახდენს უდიდეს შთაბეჭდილებას საკუთარ მეგობრებზე.

"ზაზა საოცრად მრავალმხრივი ადამიანი იყო და ეს მრავალმხრივობა მისი მოჭარბებული ენერგიიდან გამომდინარეობდა,- ყვება რეზო შანიძე, - ზაზა მაქსიმალისტი იყო. ყველა საქმეში, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა ცდილობდა სრულყოფილებამდე მისვლას. თავისი თვისებების გამო ბუნებრივი ლიდერი ხდებოდა ყველაფერში. ვიდრე ერთად დავდგებოდით თხილამურებზე, ჩვენ ინტენსიურად ვვარჯიშობდით. ამ ვარჯიშების ინიციატორი ზაზა იყო. ჩვენს სავარჯიშო არენას იპოდრომი წარმოადგენდა. ყოველდღიურად მინიმუმ სამ წრეზე სირბილის შემდეგ ზაზას შემუშავებულ სავარჯიშოებს ვასრულებდით. თავიდან ვერ მივხვდი რატომ იყო სამი წრე მინიმუმი, ვიდრე ზაზამ ერთ-ერთი ცნობილი კინომსახიობის ინტერვიუზე არ მომიყვა, რომლის მიერ განსახიერებული გმირი იმ დროის უპირველესი სიმბოლო იყო ვაჟკაცობისა და გმირობისა. როდესაც ამ როლს ამზადებდა მსახიობი, ყოველდღიურად ხუთ კილომეტრს დარბოდა, რომ შესაბამის ფიზიკურ ფორმაში ყოფილიყო. ჩვენი სამი წრე მეტი იყო, ვიდრე ხუთი კილომეტრი."

სამეგობრო წრე დიდი და ჭრელი ჰყავდა, რადიკალურად განსხვავებული ადამიანებისგან შემდგარი. ისიც შეეძლო ისინი ერთმანეთთან დაეახლოებინა კიდეც. ბავშვობიდანვე ფათერაკებში ეხვეოდა. ზაზას სათავგადასავლო ისტორიები მშობლებს ერთს აფიქრებინებდა: მას ხმალი უნდა დააჭერინო დასვა ცხენზე და ასე ხმლისქნევით ივლის ბოლომდეო.

"განიერი მხრებით ... თითქოს მუშტივით იყო, ძლიერი! თვალებიდან ნაპერწკლები ცვიოდა, თანაც ულიმოდა. ქუჩაში რომ შეგხვდებოდა, ისეთი გრძნობა გეუფლებოდა - ის დღე შენთვის განათებული იყო, - ამბობს დათო გაგოშიძე, -სხეულით კი არა, სულითაც ძლიერი იყო. ყველა ბოროტი ზრახვებით შეპყრობილი ადამიანისთვის სახიფათო, უკიდურესად გაბედული, უშიშარი. იმდენად დაუოკებელი იყო, არასოდეს ჩერდებოდა. რაღაც თავგადასავლებს ეძებდა გამუდმებით... ისეთ რომანტიულ სამყაროს შეგიქმნიდა, იქ ყოფნა მოგინდებოდა. უჯარმის ექსპედიციაში ყოფნისას ძმაკაცები დილაადრიან წამოგვყარა - ცხენები დავიჭიროთ, ვაჯირითოთო... მოიგონა ყველაფერი არავითარი ცხენები იქ არ ყოფილა."

1978 წელი, 14 აპრილი... სტუდენტთა გამოსვლების ემოციური ტალღა მათზეც გადადის, ვინც შემდეგში უჯარმის ექსპედიციაში ისტორიული ძეგლის დაცვის მიზნით მიდის. ერთ-ერთი მათგანი ზაზა ებრალიძეა. ორთვიანი ექსპედიციის მოგონებები და ზაზას "ისტორიები" მის მეგობრებს მთელი ცხოვრება გაჰყვათ.

"უჯარმის მოძრაობა იყო ერთ-ერთი პირველი ეროვნული აქცია, რომელიც 1978 წლის გამოსვლებს მოჰყვა, - ამბობს ზაზა თვარაძე, - ეს იყო მორიგი პროტესტი საბჭოური გადაწყვეტილების წინააღმდეგ - დაკარგულიყო ყოველგვარი ქართული. ძალა, რომელიც მხოლოდ პატიოსანი სტუდენტების სახით ვიყავით უჯარმაში, გულწრფელად და მთელი არსებით გამოვხატავდით ჩვენს პოზიციას - საქართველოს სიყვარულს. პირველად აქ დავინახეთ რას ნიშნავს თავისუფლება და დემოკრატია".

ზაზა ებრალიძესთვის - როგორც ერთ-ერთი მონაწილესთვის "უჯარმა" იყო მზადყოფნა - თავი დაედო საკუთარი ქვეყნისთვის. მას შემდეგ მოყოლებული მზად არის თავად გააკეთოს რაიმე ეროვნული საქმე, თუნდაც მარტოს მოუხდეს მტერთან შებრძოლება ან ერთი სოფლის აღება. თავგანწირვისთვის არის მზად - ხან რას მოიფიქრებს, ხან რას სთავაზობს მეგობრებს: ქართული სოფლის გაშენებას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ უბნებში...

იგივე მუხტი ამოძრავებს, როცა შეიარაღებულ რაზმს ქმნის."ამ არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფების ერთადერთი მიზანი ,- ჰყვება ზაზას მეუღლე მაკა ჯორჯაძე, - საქართველოს მოსახლეობის დაცვა იყო კონფლიქტურ რეგიონებში; თუმცა მოგვიანებით, როდესაც რაზმს შვილთან ერთად ჯაბა იოსელიანი შეუერთდა, ჯგუფს უფრო პოლიტიკური ელფერი მიეცა. მიუხედავად იმისა, რომ ჯაბა ამ ჯგუფში ზაზას საშუალებით მივიდა, ზაზას თავიდანვე ჰქონდა გარკვეული ეჭვები მისი პიროვნების მიმართ. შემდგომში, როდესაც ეს ეჭვები გამართლდა (ჯაბას უნდოდა მათ გარკვეული პოლიტიკური დაკვეთები განეხორციელებინა), მაშინვე დატოვა ეს ჯგუფი. გადაწყვიტა, შეირაღებულ დაჯგუფებაში აღარ შესულიყო, რადგანაც დიდი იყო რისკი ასეთი ჯგუფის ბრმა იარაღად გამოყენებისა.

ზაზასთან ერთად ეს ჯგუფი 22-მა წევრმაც დატოვა (26 ძირითადი წევრიდან!) ჯაბამ სულ სხვა ადამიანებისგან ჩამოაყალიბა "მხედრიონი". მოგვიანებით იარაღის თაობაზე მოხდა კონფლიქტი ჯაბას რაზმსა და თავდაპირველ რაზმელებს შორის. ზაზა ამ კონფლიქტში არ მონაწილეობდა, თუმცა როცა მისი მეგობრები, ყოფილი თანარაზმელები ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დადგნენ, კვლავ დაბრუნდა რაზმში და მათთან ერთად შექმნა უკვე ფორმალური გაერთიანება "თეთრი გიორგი", რომელიც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა."

"ის თანარაზმელმა, ამხანაგმა მოკლა... მეგობრის ხელით თუ მოკლავდნენ, თორემ სხვა ვინ მოერეოდა?!,- ამბობს ზაზა თვარაძე, - მეგობრისგან, ცხადია, არ ელოდა და თან იარაღი არ ჰქონდა. ზაზას გარდა იმ წლებში კიდევ რამდენიმე გამორჩეული ადამიანი დაიღუპა."

არსებობს ეჭვი, ერთი სუბიექტური აზრიც. გია თორთლაძე: "ზაზა ებრალიძის მკვლელობა არის ის ნაწილი პოლიტიკისა და ის მოვლენა, რომელიც პირდაპირ კავშირშია საქართველოს უახლეს ისტორიასთან, რომელიც უნდა დაიწეროს ან უკეთეს შემთხვევაში, ახლა იწერება."

ზაზას - თავგადასავლების მაძიებლის ცუდ და ხიფათიან გეგმებსაც კი რომანტიკა ახლდა. ამ განწყობითა და მუხტით გაჯერებული "საქმეები" საბოლოოდ კეთილი მოგონებების სიაში ირიცხება, "სულით ისეთი ძლიერი იყო, მაშინაც კი როცა შინაგანად ეწინააღმდეგებოდი, - ჰყვება გიორგი ყვავილაშვილი, - მის მიერ შეთავაზებულ წინადადებას მაინც თანხმდებოდი".

"მისი მეტყველება, მიმიკა, მოძრაობა სიცოცხლის მძაფრ სიყვარულს, უსაზღვრო თავისუფლების შეგრძნებას ასხივებდა. ეს მისი ნიჭი იყო, მისი თანდაყოლილი თვისება; მას არ შეეძლო უგემური, უღიმღამო არსებობა, "ნაძრახი სიცოცხლე". მოიშორეს, რადგან სნეული საზოგადოების ჯანსაღი ელემენტი იყო" ,- ამბობს ანდრო ბუაჩიძე, - არასწორი ღირებულებების ქვეყანაში სწორი ღირებულებებით ცხოვრობდა. ...არავითარი პოზა არ ჰქონდა"

რაც შეეხება პოზიციას - ის პატრიოტი იყო. სწორედ, პატრიოტული და "რომანტიული" სურვილების გამო მოხვდა იმ "გაუგებრობაში" რასაც გაუგებარი მკვლელობა მოჰყვა. რისკიანი! რაც ღირდა ეს რისკი, მისმა ცხოვრებამ აჩვენა, მაგრამ რაინდული პატიოსნება და ვაჟკაცობა უკარნახებდა - პირდაპირ ეთქვა სიმართლე და ისიც უკან არ იხევდა.

"ის არავის ჰგავდა... აი, ამოხეთქა თითქოს ბუნებიდან, ცოტახანი გაიელვა და გაქრა!" - ეს არც მხატვრული ხერხია, არც პათოსი; უბრალოდ, ერთ-ერთი მეგობრის მიგნებაა, რომელიც ზუსტად დაგანახებთ ზაზა ებრალიძეს.

# ლაშა და სწავლა


ზაალ სამადაშვილი

**ლაშა ბუღაძე** - დღევანდელი გადაცემის თემაა განათლება. გადაცემის სტუმრები არიან მე-6 სკოლის დირექტორი ნანიკო ფიფია და 53-ე სკოლის დირექტორი ზაალ სამადაშვილი. გილოცავთ დღევანდელ დღეს, 26 სექტემბერს, როგორც პირველ სექტემბერს და პირველი კითხვა ასეთი იქნება: რამდენად მომზადებული ხვდება, მაგალითად, მე-6 სკოლა ახალ სასწავლო წელს?

**ნანიკო ფიფია** - რასაკვირველია პრობლემები იყო ზაფხულის განმავლობაში, რაც შენობის ნაწილობირვ გარემონტებას გულისხმობდა, და სადაც, ბუნებრივია, სხვადასხვა მიზეზის გამო მერიიდან ამ თანხის გამოყოფის პროცესი გაიწელა დროში, მაგრამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში მე ჩემს მასწავლებლებთან ერთად სკოლის, ასე ვთქვათ, მომზადება მაინც მოვასწარით. მაგრამ დღევანდელმა დღემ, ათასი ბავშვის გახარებულმა სახემ ყველა ეს პრობლემა და დაღლილობა დაგვავიწყა. ბავშვებს გაეხარდათ, რომ სკოლის შენობა, სადაც ისინი ცხოვრების დიდ ნაწილს ატარებენ, შეკეთებული და გასუფთავებული დახვდათ.

**ზაალ სამადაშვილი** - ჩვენთანაც ყველა მოწაფეს დღევანდელ დღეს მცირე ზეიმი დახვდა. პრობლემები სკოლაში ბევრია, მაგრამ საყოფაცხოვრებო პრობლემები მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა. რაც შეეხება სხვა სახის პრობლემებს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სკოლაში იმყოფებოდა 600 ბავშვით მეტი, ვიდრე ის სინამდვილეში იტევს, უნდა მოგახსენოთ, რომ კერძო სკოლა, რომელიც ამავე სახელმწიფო სკოლის შენობაში იმყოფებოდა, გადავიდა ცალკე. ასე რომ, გარკვეული შვება არის.

**ლაშა ბუღაძე** - მომატებული ხელფასების პირობებში, ალბათ ყველსათვის საინტერესოა, რამდენია მასწავლებლის ხელფასი?

**ზაალ სამადაშვილი** - ეს არის დამოკიდებული სკოლის ბიუჯეტზე. თუმცა არსებობს განათლების სამინისტროს მიერ მომზადებული სტანდარტები, რომელიც გათვლილია 1000-ბავშვიან სკოლაზე. ვინაიდან ჩემს სკოლაში არის 1500 მოწაფე, მე ამ სტანდარტების მიხედვით, შემიძლია ვიანგარიშო საშუალოდ პედაგოგის ხელფასი. ამის შედეგად საკმაოდ გაუმჯობესდა მასწავლებლების მდგომარეობა, რომელთა ხელფასებმა იმატეს 50-60 პროცენტით. საშუალოდ მასწავლებლის ხელფასი არ არის 115 ლარზე ქვევით. ვინც ყველაზე მეტად არის დატვირთული, იქ ჩვენ 250 ლარსაც ვაღწევთ, რაც აქამდე სრულიად წარმოუდგენელი იყო.

**ლაშა ბუღაძე** - ბევრი პირველკლასელი მოვიდა წელს და რამდენი წელი იწავლიან ისინი?

**ნანიკო ფიფია** - წელს ჩვენ მივიღეთ 5 პირველი კლასი მთლიანობაში 125 ბავშვი და მათ 12 წლის განამვლობაში მოუწევთ სწავლა.

**ლაშა ბუღაძე** - როგორც ვიცით, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები, უმაღლესი სასწავლებლების შემდეგ, საშუალო სკოლებშიც ჩატარდება. არის თუ არა ეს რეფორმა უკვე დაწყებული, რა სიახლეებია სკოლაში?

**ნანიკო ფიფია** - რასაკვირველია არის სიახლეები. პირველი არის ის, რომ შემოდის ვაუჩერების სისტემა, ასევე სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა უნდა აირჩიონ სამეურვეო საბჭო, შემდეგ კი სამეურვეო საბჭო აირჩევს დირექტორს. საბოლოოდ, დირექტორი სკოლის ბიუჯეტს და სკოლასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს წარადგენს სამეურვეო საბჭოზე, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ყველა საკითხთან დაკავშირებით. თვითონ ეს სამეურვეო საბჭო შედგება მშობლებისაგან, მასწავლებლებისაგან და ერთი უფროსკლასელი მოსწავლისაგან.

**ზაალ სამადაშვილი** - ის რომ მოწაფეც იღებს მონაწილეობას სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღებაში, მე ძალიან გამართლებულად მიმაჩნია, ვინაიდან უფროსკლასელი, მე-11 ან მე-12 კლასელი ბავშვი უკვე იმ ასაკში იმყოფება, რომ სრული უფლება აქვს დააფიქსიროს საკუთარი ხმა. რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ სტრუქტურულ ცვლილებებს სკოლის მართვაში, ესეც ძალიან პოზიტიურ მოვლენად მეჩვენება. ვინაიდან პროცესი იქნება გაცილებით გამჭვირვალე და ღია. სამეურვეო საბჭოს არსებობა უამრავ კითხვას და პრეტენზიას პასუხსაც გასცემს და მინიმუმამდე დაიყვანს, ვინაიდან ბევრი ადამიანის მონაწილეობა, პირდაპირ შეუშლის ხელს ერთპიროვნულ მართვას, როგორც აქამდე იყო. პოლიტიკურ ჭრილში რომ განვიხილოთ, სამეურვეო საბჭო იგივეა, რაც პარლამენტი, დირექცია კი ეს არის აღმასრულებელი ხელისუფლება. ამ შემთხვევაში სამეურვეო საბჭოს, როგორც პარლამენტს, აქვს აღმასრულებელი ხელისუფლების მაკონტროლებელი ფუნქცია.

**ლაშა ბუღაძე** - ესე იგი ამ შემთხვევაში მშობლის სუბიექტივიზმი არ იქნება საგანგაშო?

**ზაალ სამადაშვილი** - არავითარ შემთხვევაში. მშობელი მიკერძოებული ხდება მაშინ, როდესაც მიდის დახურული პროცესი. ამ შემთხვევაში კი ყველაფერი ღია და გამჭვირვალე იქნება. გარდა ამისა, მას ექნება შესაძლებლობა გააკონტროლოს, სად მიდის და როგორ იხარჯება ის ფული, რომელიც, ვთქვათ, მან მოიტანა სკოლაში ან სკოლამ დამატებითი რესურსებით მოიპოვა.

**ლაშა ბუღაძე** - აქამდე რეალურად იდგა სკოლაში სნობიზმის პრობლემა. დადიოდა ხმები, რომელიც არცთუ ისე უსაფუძვლო იყო, რომ 53-ე სკოლაში შესაძლებელია, ბავშვი არ მიეღოთ, თუკი ის არ იყო პრესტიჟული ოჯახის შვილი, რასაც ხან მისი საცხოვრებელი დგილი და ხან მშობლების სტატუსი განსაზღვრავდა. არის თუ არა დღეს ეს პრობლემა და როგორ გადაწყვიტეთ ეს საკითხი?

**ზაალ სამადაშვილი** - მოვერიდები რადიკალურ შეფასებებს, მაგრამ მოგახსენებთ, რომ სამწუხაროდ, სელექციის ეს გაუმართლებელი სტილი ჩემს სკოლაში არსებობდა. მაგრამ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ეს პრობლემა მოიხსნა. წელს სკოლაში მიღების პირობა იყო მხოლოდ ბავშვის საცხოვრებელი ადგილი, საიდან გამომდინარეც, მას კანონის მიხედვით ეკუთვნის მისი რაიონის სკოლა. მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ოჯახების ბავშვები წელს ჩვენთან მოხვედრის პრიორიტეტით არ სარგებლობდნენ.

**ლაშა ბუღაძე** - სკოლა არა მხოლოდ ცოდნის კერაა, არამედ სოციალური ინსტიტუტიც არის. თავად მე მე-6 სკოლა დავამთავრე და იმ პერიოდში ეს სკოლა გამოირჩეოდა განსაკუთრებული ლიბერალიზმით. აქედან გამომდინარე სკოლებს სასწავლო რეფორმის გარდა, მენტალური ცვლილებებიც ხომ არ სჭირდება?

**ზაალ სამადაშვილი** - სწორედ მე-6 სკოლის მაგალითზე უნდა მოგახსენოთ, რომ იმ პერიოდში იმ სკოლის გახსნა, სადაც ლიბერალური ღირებულებები მკვიდრდებოდა, გარკვეულწილად, იმ ეპოქის საზოგადოების სოციალური დაკვეთა იყო. ამ სკოლის დაბადება იყო გარღვევა განათლების სისტემაში. ამ თვალსაზრისით ნანიკოსგან განსხვავებით, მე გაცილებით მძიმე პრობლემის წინაშე ვდგავარ, და ეს, სამწუხაროდ, ბუნებრივია. 53-ე სკოლა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ავტორიტარული მეთოდით იმართებოდა. მაგრამ მე მეჩვენება, რომ მართვის ახალი მეთოდები ძალაუნებურად სპობს ამ მენტალურ პრობლემებსაც. ეს ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

**ლაშა ბუღაძე** - არსებობს იმის გამოცდილებაც, რომ სკოლებს შორის იყო კონფლიქტური ურთიერთობები ე.წ. ჩხუბები, სხვადასხვა სახის საქმის გარჩევები, სადაც უბნებიც იბრძოდნენ ერთამენთში. დღეისათვის როგორი კონტროლის მექანიზმი არსებობს, იმისათვის, რომ ამგვარი შემთხვევებისგან დავიცვათ ბავშვები?

**ნანიკო ფიფია** - კერძო სკოლებში ეს პრობლემა მოხსნილია, ვინაიდან იქ არის დახურული ჭიშკარი, საიდანაც მშობლის გარეშე, სასწავლო დღის დასრულებამდე ბავშვი გარეთ ვერ გადის. ჩვენ შემთხვევაში ალბათ ის არის, ანუ სახელმწიფო სკოლების შემთხვევაში, რომ ბავშვები უნდა იდეოლოგიურად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მოვამზადოთ იმისათვის, რომ ყოველთვის თავი უნდა აარიდონ უაზრო კონფლიქტებს, რომელიც ხან განსხვავებული უბნის გამო იქნება გამოწვეული და ხან კი სხვა არანაკლებ უმნიშვნელო მიზეზის გამო. ამას ასევე სწავლის ინტენსივობაც დაარეგულირებს. ბავშვი სკოლის პერიოდში უნდა იყოს მაქსიმალურად დატვირთული, როგორც სწავლის მხრივ, ასევე გართობის მხრივ. ამიტომ ჩვენ ვაპირებთ რამდენიმე სახის წრეების გახსნას, სადაც ბავშვი ინფორმაციასაც მიიღებს და გაერთობა კიდეც. ერთი სიტყვით, სკოლაში უნდა შეიქმნას მაქსიმალურად დადებითი ატმოსფერო.

**ზაალ სამადაშვილი** - რასაკვირველია, ეს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა, რომ როგორმე ბავშვები გამოვაცალოთ ქუჩას. ამისათვის სკოლის სამყარო უნდა იყოს მრავალფეროვანი და საინტერესო, და სკოლის ცხოვრება უნდა იყოს დატვირთული. ამ ცხოვრებას უნდა ქმნიდნენ იდეალისტები. შესაძლებელია, ეს საკვირველად ჟღერდეს, მაგრამ ეს აუცილებელია. გარდა ამისა, არსებობს უამრავი მეთოდი, თუ როგორ უნდა დაიცვას ადამინმა თავი მოძალადისაგან, ამაში მას სახელმწიფო უნდა მოეხმაროს. ჩვენ ბავშვებს უნდა გავაგებინოთ, რომ სხვა არის მეგობრის, საუთარი ღირსების დაცვა და სრულიად სხვა რამე ძალადობა, ჩაგვრა და აგრესია. თუ ერთი არის ზნეობრივი საქციელი, მეორე არის ულირსობა. აქედან გამომდინარე სკოლამ გარდა ცოდნისა, ბავშვს უნდა ასწავლოს ზნეობრიობა. სამწუხაროდ, ბევრი საბაბი არსებობს იმისათვის, რომ ბავშვებს გაუჩნდეთ კლასობრივი მტრები, რისი შედეგიც გაჩენილი აგრესიაა. აქედან გამომდინარე ერთადერთი გამოსავალი ისევ ე.წ. შეგონებაა, სადაც აგრესიის საპირისპირო უნდა შესთავაზო.

**ლაშა ბუღაძე** - ჩვენ იმედი გვაქვს თქვენი და არა მხოლოდ თქვენი; სკოლები დროთა განმავლობაში, მოზარდებში არსებულ აგრესიას საპირისპირო ფასეულობებით შეცვლიან და ასევე ნაწილობირვ მაინც მოაგვარებენ იმ პრობლემას, რასაც ნარკომანია ჰქვია.




